ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 26 ოქტომბერი, 2021 №201 (8730) ფასი: 60 თეთრი

## ნინო ლომჯარია: „ვითარება მე-18 დაწესებულებაში არ შეესაბამება ექიმთა ჯგუფის რეკომენდაციებს“

„არსებობს რისკები უსაფრთხოების თვალსაზრისით“





გვ.5

# „მიშას ლიკვიდაცია შესაძლოა ვიღაცას აწყობდეს „ოცნებაში“ და ერთმანეთსაც კი „გაუჩალიჩონ“ რამე“



გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ოცნებას“ პროტესტის გაღვივების და მიშას მხარდამჭერების თბილისის ცენტრში კლინიკასთან შეკრების ეშინია“

„ოცნებამ“, თუ ოპოზიცია აქციებს გამართავს, ჩვენ მათზე მეტ ხალხს გამოვიყვანთო, ამის დემონსტრირება უნდათ 27-ში“



## „მიშა მაქსიმალისტია, რა იხარშება მის თავში, არავინ იცის“

მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალებთან ერთად კოალიციის შექმნა არის შეუძლებელი“



გვ.3



გვ.2

## ივანიშვილი „ოცნების“ აქციაზე არ მივა

## „სააკაშვილს თავგანწირვა შეუძლია“

სოსო ცინცაძე: „კობახიძის განცხადებები შიმშილზე სამარცხვინოა“



გვ.4

## „ციხეში არავის ყოფნა არ მახარებს, მაგრამ არც სახელმწიფო გადატრიალება მინდა“



გვ.3

ანზორ აბრალავა: „ნეიტრალური ამომრჩეველი იმოქმედებს იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან არჩევნების მონაწილეები“

## „მე არ მინდა ნაციონალების შვილებმა ის გამოსცადონ, რაც ჩემებმა გამოსცადეს“



გვ.4

მაია ნიკოლეიშვილი: „ადამიანები ჩვენთან ვერ მოდიოდნენ, გვერიდებოდნენ. ერთია, რომ ეს გადაიტანე და მეორეა, რომ შენი ოჯახი მთლიანად იზოლაციაშია“

ISSN 1987-9385

2 ირაკლი კობახიძე: „ოცნების“ მომხრეებს 27-ში თავისუფლების მოედანზე გელოდებით!“

5 სააკაშვილის ადვოკატი: „განვიხილეთ ის პროვოკაციები, რომლებიც შესაძლებელია ხელისუფლებამ განახორციელოს“

5 რატი ბრეგაძე: „მე-18 დაწესებულების ინფრასტრუქტურა პაციენტის მისაღებად მზადაა“

5 ბათუმში 13 წლის გოგონას თანატოლებმა რესტორანში სცემეს

# „მიშას ლიკვიდაცია შესაძლოა ვიღაცას აწყობდეს „ოცნებაში“ და ერთმანეთსაც კი „გაუჩალიჩონ“ რამე“

## ნიკა ჩიტაძე: „ოცნებას“ პროტესტის გაღვივების და მიშას მხარდამჭერების თბილისის ცენტრში კლინიკასთან შეკრების ეშინია“

იაგო ნაცვლიშვილი

**არის თუ არა სავაჭრო თემა, სად იმკურნალებს სააკაშვილი? რისი დემონსტრირება სურს „ოცნებას“ 27 ოქტომბრის შეკრებით და პრემიერის განცხადება ნიშნავს თუ არა იმას, რომ შეკრებას სააკაშვილის მხარდაჭერის საპირწონედ მართავენ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**



***— „ოცნება“ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით დისკუსიაშია შესული ოპონენტებთან. არის სავაჭრო თემა ის თუ სად უნდა გადავიდეს სამკურნალოდ ექსპრეზიდენტი?***

— გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, განსახილველი თემაა. წესით და რიგით, ის უნდა გადაიყვანონ მრავალპროფილურ კლინიკაში სამკურნალოდ. ხელისუფლებას შეიძლება ეშინია, სააკაშვილმა არ დატოვოს ციხის ტერიტორია და პროცესები სხვანაირად არ განვითარდეს.

***— გაექცევათ თუ რის ეშინიათ?***

— გაქცევით, რა თქმა უნდა, არ გაექცევათ. დაცვის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება ბუნებრივია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური მომენტია, თითქოს... თუ მკურნალობა ჩაუტარდა ციხის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. „ოცნება“ გვეუბნება, რომ თუ სხვა პატიმრები ციხის საავადმყოფოში მკურნალობენ, რატომ არ უნდა იმკურნალოს სააკაშვილმა ციხის საავადმყოფოშიო.

***— თუმცა, ხომ გვახსოვს, რომ ერთ დროს დასჭირდა ვანო მერაბიშვილს სხვა კლინიკაში მკურნალობა. იმკურნალა და დააბრუნეს ციხეში, რა დაშავდა ამით?***

— არაფერი, მაგრამ რეალობა ის არის, რომ შესაძლოა მხარდამჭერები კლინიკის წინ შეიკრიბონ, უკვე თბილისის ცენტრში და არა, ვთქვათ, რუსთავის ციხეში.

***— პროტესტი უფრო გაღვივდება და ამის ეშინია „ოცნებას“?***

— დიახ, ერთ-ერთი მიზეზი ეს არის. „ოცნება“ აცხადებს, რომ ის სხვა პატიმრებისგან არ გამოირჩევა, რიგითი მოქალაქეა და როგორც თავად უწოდებენ, როგორც სხვა კრიმინალები მკურნალობენ ციხის საავადმყოფოში, სააკაშვილიც კრიმინალია და უნდა იმკურნალოს ციხის საავადმყოფოშიო.

რაც შეეხება ოპოზიციას, ვიცით რაზეც აპელირებს, რომ შესაძლოა საფრთხე შეექმნას სააკაშვილს თუ მას ციხის საავადმყოფოში უმკურნალებენ. ეს არის ერთგვარი დისკუსიის საგანი.

***— რაც ნიკა გვარამიამ თქვა, რომ იგეგმება ბუნტი და შემდეგ უნდა მოხდეს სააკაშვილის ლიკვიდაცია. ეს დამაჯერებელია და თვლით, რომ ეს უნდა გახდეს განგაშის საფუძველი?***

— გარკვეული განგაშის საფუძველი ნამდვილად არის. თავად ხელისუფლებაშიც აზრთა სხვადასხვაობაა. შესაძლოა ერთ ნაწილს აშინებს სააკაშვილი ციხეში, ხოლო ვიღაცას შესაძლოა აშინებს ის, რომ დაიწყება სახალხო მღელვარება.

***— ერთმანეთსაც შეიძლება „გაუჩალიჩონ“ რამე?***

— არ ვიცი, შეიძლება. ყველაფერია მოსალოდნელი. ვიცით, რომ ხელისუფლების შიგნით არის გარკვეული დაპირისპირებები, რასაც თავის დროზე გახარია შეეწირა, იქამდე კი კვირიკაშვილი. ერთმანეთს „უჩალიჩებენ“ რაღაცებს, გახარიასაც „გაუჩალიჩეს“ რაღაცა. მგონია, რომ მელიას თემა საბაბი იყო. თავის დროზე კვირიკაშვილსაც „გაუჩალიჩეს“. არ აწყობდათ ის, რადგან არ თამაშობდა კობახიძის თამაშს. ბიძინას უმტკიცებს ერთგულებას ერთი მხარეც, მეორეც, ამიტომ გამორიცხული არაფერი არ არის. იმედია ეს არ მოხდება, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ვიღაცას სურდეს მისი ლიკვიდაცია. შესაძლოა ვიღაცას არ სურდეს, რადგან მღელვარებას უფრთხის. ფაქტია, რომ საფუძველი ორივე მხარეს აქვს, მაგრამ ოპოზიციის არგუმენტი უფრო დამაჯერებელია, რომ მის ჯანმრთელობას საფრთხე ექმნება და უმჯობესია მან მკურნალობა ციხის ტერიტორიის გარეთ გაიაროს.

### „ოცნებამ“, თუ ოპოზიცია აქციებს გამართავს, ჩვენ მათზე მეტ ხალხს გამოვიყვანთო, ამის დემონსტრირება უნდათ 27-ში“

***— 27 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ დაგეგმა შეკრება. პრემიერი მიმართავს ყველას, რომ ვისთვისაც მიუღებელია ის ძალადობა და უსამართლობა, რაც სააკაშვილის დროს იყო, ის ადამიანები შევიკრიბოთო. რისი დამტკიცება უნდათ ამით?***

— ხელისუფლებას უნდა დაამტკიცოს, რომ მათ უფრო მეტი მომხრე ჰყავთ. ხელისუფლება შეშფოთდა სააკაშვილის მხარდამჭერი აქციით, სადაც 60 000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა, სადაც შევსებული იყო თავისუფლების მოედანი, რუსთაველის გამზირის მნიშვნელოვანი ნაწილი და პუშკინის ქუჩის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ამიტომ ხელისუფლებას უნდა დემონსტრირება, რომ მათ მეტი მომხრე ჰყავთ. ამიტომ, ბევრ ადამიანს ჩამოიყვანენ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2018 წლის 14 დეკემბერს ადამიანები შეკრიბეს, თითქოს ზეიმობდნენ იმას, რომ საქართველო ხდებოდა ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა და თითქოს ამით ნდობა გამოხატეს საქართველოს მიმართ, რეალურად კი ანბანის მიხედვით ეკუთვნოდა. ხომ გახსოვთ შეკრებილ ადამიანებს ჟურნალისტები რომ ეკითხებოდნენ, რატომ ჩამოხვედითო, ნაწილი ამბობდა, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ვზეიმობთო, ხოლო ზოგმა ევროკავშირში გაწევრიანებასო, ვიღაცამ თქვა, რომ „ნაციონალები“ არ მომწონს და მათ უსამართლობას ვებრძვიო და ა. შ.

***— პრემიერის განცხადება იმას ნიშნავს, რომ რადგანაც იყო სააკაშვილის მხარდამჭერების აქცია, ახლა თავად მის მოწინააღმდეგეებს კრებენ?***

— კი, ძალის დემონსტრირებაა. რამე რომ იყოს, ჩვენც შეგვიძლია მხარდამჭერების მობილიზება, კიდევ რომ გაიმართოს სააკაშვილის მხარდამჭერების აქციაო, ან, მაგალითად, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში თუ ხალხი გამოვა ქუჩაში, ამაზე გააკეთა მინიშნება, რომ ჩვენ შეიძლება გავაყალბოთ შედეგები, მაგრამ თქვენ რომ გამოიყვანთ მხარდამჭერებს, იმაზე მეტს ჩვენ გამოვიყვანთო.

***— კონტრაქციას დაგიპირისპირებთო?***

— დიახ, ჩვენ გვყავს მომხრეები და გაცილებით მეტი, ვიდრე თქვენო. კობახიძემ განაცხადა, რომ მარტო მძღოლები დაგვჭირდება იმდენი, რომ ხალხი ჩამოვიყვანოთო, მაგრამ მთავარი არა რაოდენობაა, არამედ ხარისხი. თუ ჩამოიყვანე ხალხი, როგორც ნახსენები აქციის დროს ვიღაცა იძახდა ნატოში გაწევრიანებას ვზეიმობთო. მაშინ, როცა სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე გულანთებული და პატრიოტი ადამიანები იყვნენ.

***— აქციების ნოემბერი გველოდება?***

— შესაძლებელია. იმიტომ, რომ ხელისუფლება ამისთვის ყველაფერს აკეთებს. ამბობენ, რომელიმე მუნიციპალიტეტშიც რომ გაიმარჯვოს ოპოზიციამ, ეს დაუშვებელიაო. ეს რას ნიშნავს?! თუ ხალხის ნებაა, ხალხმა უნდა გამოხატოს თავისი აზრი. პირიქით უნდა თქვან, რომ კონკრეტულ რეგიონში მშვიდობიანად გადავაბარეთ ხელისუფლება და რა მოხდაო. შესაძლოა სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ შეცდომები ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრად დემოკრატიული ძალა ჩანს, თუნდაც იმით, რომ ხელისუფლება დემოკრატიული გზით გადააბარეს. განსაკუთრებით ზუგდიდში ეშინიათ წაგების, სადაც შედარებით მაღალი რეიტინგი აქვს „ნაცმოძრაობას“.

***— ანუ, ყველანაირად მაინც აქციებისკენ მივდივართ?***

— კი, ამის თქმა მინდოდა. არ არის გამორიცხული, რომ დარღვევებით წარიმართოს საარჩევნო პროცესი და, შესაბამისად, ამან გამოიწვიოს აქციები. ამით შეიძლება იძულებული გახდეს ხალხი, რომ ქუჩაში გამოვიდეს. თითქოს მინიშნებაა 27 ოქტომბრის აქცია, რომ თუ თქვენ გამოიყვანთ ხალხს, ჩვენ თუ მოვინდომებთ, უფრო მეტს გამოვიყვანთო.

# ირაკლი კობახიძე: „ოცნების“ მომხრეებს 27-ში თავისუფლების მოედანზე გელოდებით!“



„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე 27 ოქტომბერს 17 საათზე წინასაარჩევნო აქციას აანონსებს. ირაკლი კობახიძემ მხარდამჭერებს თავისუფლების მოედანზე მისვლისკენ მოუწოდა.

— გაცნობებთ, რომ 27 ოქტომბერს 17 საათზე გაიმართება ჩვენი პარტიის მხარდამჭერების შემაჯამებელი საარჩევნო შეკრება. ათეულობით ათასი ჩვენი ქვეყნის მოქალაქე შეიკრიბება იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ, თუ როგორია ქართველი ხალხის ძალა, რომელიც იბრძვის ბოროტების საბოლოოდ დასამარცხებლად, ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის, — განაცხადა კობახიძემ.

მისი თქმით, რამდენი კაციც ჰყავდათ ნაციონალებს თავიანთ აქციაზე შეკრებილი, იმდენი მარტო მძღოლი დასჭირდებათ თბილისში ხალხის ჩამოსაყვანად.

— ეს არის მესიჯბოქსი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა დაალაგეს — არავითარი კონტრაქცია ეს არ არის. ეს არის შემაჯამებელი საარჩევნო აქცია.

რაც შეეხება ე.წ. კონტრაქციას, მარტივად რომ გითხრათ, რამდენი კაციც ჰყავდათ მათ შეკრებილი თავიანთ აქციაზე, იმდენი მარტო მძღოლი გვჭირდება, რომ თბილისში ხალხი ჩამოვიყვანოთ. თვითონ შეგიძლიათ განსაჯოთ, ეს არის კონტრაქცია თუ ნამდვილი აქცია, რომლის მიზანია საზოგადოებისთვის საკუთარი ძალის კიდევ ერთხელ ჩვენება. ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ უნდა დააფიქსიროს, რომ ის არის თავისუფლების მომხრე, სურს ბოროტების დამარცხება, სურს თავისუფლება, მშვიდობა და სიმშვიდე ამ ქვეყანაში, — განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა ოცივე მუნიციპალიტეტში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვონ.

# ფოთში ოპოზიციამ კოალიციური მემორანდუმი გააფორმა

ფოთში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა კოალიციური თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

შეთანხმებას ხელს ოპოზიციის ნაწილის მერობის კანდიდატი გიგი უგულავა და შემდეგი პარტიების წარმომადგენლები აწერენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „ევროპული საქართველო — მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ლელო“, „გირჩი — მეტი თავისუფლება“, „მესამე ძალა — სტრატეგია აღმაშენებელი“, „დროა“, „თავისუფალი საქართველო“, ერთიანი საქართველო“.

— ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, მე, როგორც მერობის კანდიდატი და ფოთის პოტენციური მერი, ვიღებ ვალდებულებას, რომ პოლიტიკური და პროფესიული ნიშნით შევქმნათ მრავალპარტიული კოალიციური მთავრობა. კარგად მოგეხსენებათ, რომ ფოთს კონკრეტული გადაუჭრელი პრობლემები აწუხებს. მაგალითად, თევზის სუნი, რომელიც ნოემბრიდან მარტის ჩათვლით ადამიანებს ნორმალური სუნთქვის საშუალებას არ აძლევს. როდესაც კოალიციური მართვის შემთხვევაში, თუნდაც ერთი სამსახური ან მერი გაბედავს და შეეკვრება იმ ადამიანებს, რომლებიც ამას ჩადიან, კოალიციის სხვა პარტნიორები ამის უფლებას არ მისცემენ. შესაბამისად, შეიქმნება კრიზისი. კრიზისი არის ის, რაც გამორიცხავს მერისგან ან მისი მოადგილისგან ისეთ ქმედებას, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგ იქნება მიმართული, — განაცხადა გიგი უგულავამ.

მისივე თქმით, ოპოზიციის კოალიციურ ერთობაში კარი სხვა პარტიებისთვის, მათ შორის გიორგი გახარიას პარტიის წევრებისთვის ღიაა.

— ჩვენი კარი კოალიციურ ერთობაში ღიაა გახარიას პარტიისთვისაც, მისი კანდიდატისთვის, მისი წევრებისთვის, თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად ფართო უნდა იყოს. პატივს ვცემთ მათ აზრს, თუმცა მიგვაჩნია, რომ მეტი ჩართულობით ფოთს მეტ სიკეთეს მოვუტანთ. კოალიციური ალტერნატივა არის, რასაც ვთავაზობთ ერთფეროვანი, ნაცრისფერი და არა ცისფერი, როგორ აქამდე იყო, „ქართული ოცნების“ საპირწონედ, — დასძინა გიგი უგულავამ.

# ივანიშვილი „ოცნების“ აქციაზე არ მივა



მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე ადასტურებს, რომ ოთხშაბათს დაანონსებულ მიტინგზე ბიძინა ივანიშვილი არ მივა.

„პირველების“ ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა პარტიის დამფუძნებელს აქციაზე მისვლა და სიტყვით გამოსვლა სთხოვეს, თუმცა უარი მიიღეს.

აღნიშნული კითხვის საპასუხოდ კი მდინარაძემ თქვა, რომ „ტვ პირველის“ არც ერთი ინფორმაცია „სწორი არ არის და რაღა ეს იქნება“.

წყაროს ცნობით, ღარიბაშვილი და კობახიძე ცდილობენ, ექსპრემიერმა წერილი გაავრცელოს და მმართველ პარტიას მხარდაჭერა ამ ფორმით გამოუცხადოს.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს, კახა კალაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში არ არის და „პოლიტიკურ განცხადებებს არ გააკეთებს“.

— საიდან მოიტანეთ, საიდან იგონებთ ხოლმე, ეს არის ტყუილი, სიცრუე, — თქვა კალაძემ „ტვ პირველის კითხვაზე, სთხოვეს თუ არა ექსპრემიერს დახმარება.

# ზურაბ ფაღავამ სააკაშვილის ჯანმრთელობის კონსილიუმი დატოვა

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით შექმნილი კონსილიუმი კარდიოლოგმა ზურაბ ფაღავამ დატოვა.

როგორც მან „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, კონსილიუმი მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვა.

— ოქტომბრის დასაწყისში გადავიტანე კორონავირუსი, თავს კარგად ვგრძნობდი, მეგონა მდგომარეობიდან გამოვედი. შემდეგ მივხვდი, რომ დამატებითი დატვირთვა კომფორტული არ იყო. ჩივილები გამიჩნდა, ამიტომ შევაჩერე აქტივობა კონსილიუმში. აღარ ვმონაწილეობ, — აღნიშნა ფაღავამ.

რამდენიმე დღის წინ ზურაბ ფაღავამ მედიას განუცხადა, რომ კონსილიუმი მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანის საკითხზე მსჯელობდა, თუმცა იმავე დღეს, იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნავდა, რომ სააკაშვილის კერძო კლინიკაში გადაყვანაზე კონსილიუმს საუბარი არ ჰქონია.

# პრეპარატი „ნარკანი“ სააფთიაქო ქსელში რეცეპტის გარეშე გაიცემა

პრეპარატი „ნარკანი“, შესაძლოა, სააფთიაქო ქსელში რეცეპტის გარეშე გაიყიდოს.

როგორც დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, ისინი სპეციალისტებთან შეთანხმებულ რეკომენდაციას გასცემენ.

— არის შემთხვევები, როცა ნარკოტიკების ზედოზირებით მოხმარების შემთხვევაში დგება ლეტალური შედეგი. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პრეპარატ „ნარკანის“ მოხმარება და დროს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ ის იყოს ხელმისაწვდომი. დღეს ის სააფთიაქო ქსელში გაიცემა მხოლოდ რეცეპტის საშუალებით და ეს, რა თქმა უნდა, მისი მოპოვების დროს ზრდის და ამცირებს ხელმისაწვდომობას. ამიტომ ჯანდაცვის კომიტეტი დარგობრივ ექსპერტებთან ვიმსჯელებთ და გავცემთ შეთანხმებულ რეკომენდაციას, რომ ეს პრეპარატი გადმოვიდეს მესამე ჯგუფში, აფთიაქებში იყოს ხელმისაწვდომი და გაიცემოდეს რეცეპტის გარეშე, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მიშა მაქსიმალისტია, რა იხარშება მის თავში, არავინ იცის“

## მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალებთან ერთად კოალიციის შექმნა არის შეუძლებელი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, არჩევნებამდე ხუთიოდე დღე რჩება და სიტუაცია საკმაოდ დაძაბული და პოლარიზებულია. ნაციონალური მოძრაობა კი ცდილობს, რომ კოალიციის სახით წარდგეს, თუმცა ყველაფერი მაინც ერთ პარტიასთან, ნაციონალებთან იგივდება. რა მოლოდინი გაქვთ? რამდენად გაამართლებს ოპოზიციის ეს მცდელობა?***

– გააჩნია რას ვგულისხმობთ გამართლებაში, თუ არჩევნებში გამარჯვებას, ჩვენ ვლაპარაკობთ არა პარტიულ სიებზე, არამედ მხოლოდ ქალაქის მერებზე. ამიტომ, როცა მხოლოდ მერებზეა საუბარი, პირადად მე, კოალიციური მთავრობა ფიქციად მეჩვენება. არც ერთი მერობის კანდიდატი, რომელსაც აქვს შანსი გამარჯვების, არც ერთი არ არის სხვა პარტიიდან, ყველა ნაციონალური მოძრაობიდან არის. ასევე კოალიცია არ იქმნება არჩევნების წინ. არჩევნების წინ იქმნება ბლოკები. ამ არჩევნებში ბლოკები დაშვებული არ იყო. კოალიცია კი უნდა შეიქმნას არჩევნების შემდეგ, როგორი შედეგებიც იქნება, აი იმ შედეგების მიხედვით. ამიტომ, ამ ეტაპზე ასეთი განცხადებები თვალის ახვევაა....

***– საზოგადოების მოტყუების მცდელობა ხომ არ არის?***

– რა თქმა უნდა, ეს არის ერთგვარი თამაში და ნაციონალების მხრიდან ეს არის წარმოჩენა იმის, რომ ისინი მარტო არ არიან და სხვებთან ერთად არიან. სხვა პარტიებისთვის ეს არის შანსი იმის, რომ რაღაც დიდიშ მონაწილენი გახდნენ, სინამდვილეში კი გამოვა ის, რაც არაერთხელ გამოვიდა.

***– ანუ?***

– ანუ ის, რომ ნაციონალებთან ერთად კოალიციის შექმნა არის შეუძლებელი. მე ამის გამოცდილება უკვე მაქვს და სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან არასასიამოვნო გამოცდილებაა. იქ დომინირებენ ნაციონალები და ვერასოდეს ვერ ახერხებ შენი აზრის გატანას. ეს უკვე არაერთხელ დავინახეთ. როგორი სიაც გააკეთეს ნაციონალებმა ვითომ კოალიციიდან წინა არჩევნებზე, ზუსტად ის შედეგი მიიღეს, გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“. ახლაც იმავეს ველოდები. ცოტა პრობლემური შესაძლოა ზუგდიდი აღმოჩნდეს „ქართული ოცნებისთვის“ და შესაძლოა, იქ რაღაც ცვლილება მოხდეს. ესეც არა იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობაა ძლიერი და ძლიერი კანდიდატი ჰყავს, არამედ იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ უცნაურად არასწორ პოლიტიკას ატარებს. საშინლად ხისტი და მიუღებელი გამონათქვამები აქვთ. საშინელი დაპირისპირებაა. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლამ შექმნა ასეთი სიტუაცია.

***– უფრო მეტად პოლარიზებული გახადა საარჩევნო ფონი?***

– რა თქმა უნდა. ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლამ და მეორე მხრივ, ამ სრულიად აღვირახსნილმა კამპანიამ „ქართული ოცნების“ მხრიდან. მოხდა ის, რაც მოხდა, მივიღეთ პოლარიზებული პოლიტიკური ველი, რაც კარგს არაფერს მოიტანს.

***– მიხეილ სააკაშვილი ახსენეთ, დღეს ის ციხეშია და ვხედავთ მის გარშემო აგორებულ კამპანიასაც. რამდენად გააზრებულად გადადგა მან ეს ნაბიჯი? ეს იყო მიზანმიმართულად, ამ სიტუაციის შესაქმნელად თუ ის შეცდომაში იქნა შეყვანილი მისი გარემოცვის მიერ, რა ინფორმაციებიც ახლა გამოდის. რას იტყვით ამაზე?***

– ეს შეცდომა იყო, წინასწარ განზრახული იყო თუ სხვა რამ, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელობა აქვს შედეგს. შედეგი კი ასეთია, სააკაშვილის ჩამოსვლამ და დაპატიმრებამ შეანჯღრია პოლიტიკური ველი. შესაძლოა გამოაცოცხლა კიდეც. სამწუხაროდ, მოხდა სერიოზული პოლარიზება, მაგრამ ფაქტი უნდა აღვნიშნოთ და ფაქტი არის ის, რომ დღეს სააკაშვილი მთლიანად მოიცავს მედია საინფორმაციო ველს. მთლიანად სააკაშვილით არის შევსებული მედია დღის წესრიგი.

***– ეს რა შედეგის მომტანია?***

– ეგ არ ვიცით. პოლარიზება, რაც ასე მკვეთრადაა სახეზე, ქვეყნისთვის რომ კარგი არ არის, ეს ცხადია. მეორეც, რამდენად წაადგება ეს ყველაფერი მის პარტიას, ესეც საკითხავია. ამომრჩეველი შუაზე იყოფა და ამით ზარალდება ის შუა ნაწილი, ჩვენ რომ შუაშისტებს ვუწოდებთ. ეს შიმშილობა კი ცოტა გაუგებარი, უცნაური და თავზეხელაღებული გადაწყვეტილებაა. ანუ მიშა მიდის ვაბანკზე. საქმე ისაა, რომ ამ ვაბანკზე წასვლით, მან შეძლო საკუთარი თავის რეაბილიტაცია მისი ამომრჩევლის თვალში. ასევე საკუთარი თავის ძალიან სერიოზული აქტუალიზაცია.



***– გამოვა ციხიდან როგორც გმირი, ან როდის გამოვა?***

– ეგ უკვე „ქართულ ოცნებაზეა“ დამოკიდებული, როდის გამოვა. ღმერთმა დაიფაროს და მაგას რამე რომ დაემართოს, ამის გაფიქრებაც არ მინდა.

***– მის სიცოცხლეს რომ საფრთხე დაემუქროს, „ოცნება“ აღმოჩნდება ცუდ დღეში?***

– არა, „ოცნებაც“ ძალიან კარგ დღეში იქნება და ნაციონალური მოძრაობაც. ნახეთ როგორი პარადოქსული სიტუაციაა, „ქართული ოცნება“ თავიდან მოიშორებს ადამიანს, რომელიც მაქსიმალურად უქმნის პრობლემებს, აღარ ეყოლება ხელის შემშლელი, მეორე მხრივ, ნაციონალური მოძრაობა მიიღებს გმირს, ამის შემდეგ საკუთარ პოლიტიკას გაატარებენ და თან გმირი ეყოლებათ. მიშა, ორივე დაპირისპირებულ მხარეს დღეს ხელს უშლის. თუმცა ღმერთმა დაიფაროს, რომ ასე მოხდეს. მიშას რომ რამე მოუვიდეს, დაზარალდება ის ხალხი, ვისაც ძალიან უყვარს ეს ადამიანი და ვისაც მისი იმედი აქვს. ასეთი კი ძალიან ბევრია, როგორც მინიმუმ, 300-400 ათასი ამომრჩეველი მხოლოდ მიშას ამომრჩეველია. შეიძლება მეტიც. ნაციონალური მოძრაობა რაც ხმებს იღებს, 90% იქიდან არის მიშას ხმები. ხომ წარმოგიდგენიათ, რა კატასტროფა იქნება ქვეყნისათვის, რომ უახლეს ისტორიაში ტრაგიკულად დაიღუპოს ქვეყნის ორი პრეზიდენტი. ეს იქნება უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმა ქართველი ხალხისათვის. ამის გადატანა იქნება ძალიან რთული.

***– ხედავთ იმის საფრთხეს, რომ შესაძლოა მიხეილ სააკაშვილი დაიღუპოს?***

– კი, რა თქმა უნდა. თუ ასე გააგრძელა შიმშილობა, გამორიცხული არაფერია. მიშა, ყველამ ვიცით, რომ მაქსიმალისტია. ისიც ვიცით, რომ საოცარი ჯანმრთელობის მქონე ადამიანი არ არის და არასდროს უცხოვრია ცხოვრების ჯანსაღი წესით. ამიტომ, რა თქმა უნდა, საფრთხის ქვეშ არის. მესმის ისიც, რომ შესაძლოა დანაშაულიც იყო, მაგრამ ამ ყველაფერს დამტკიცება და სასამართლოს ჩატარება უნდა.

***– ანუ მიშას მიდგომა როგორია საკითხისადმი, ან სიკვდილი, ან გმირად გამოსვლა ციხიდან?***

– ის არის სრული მაქსიმალისტი, რა იხარშება მის თავში, ვერ გეტყვით.

***– არის იმაზე საუბარიც, რომ „ოცნებას“ არ აწყობს ეს თავის ტკივილი და სააკაშვილს არჩევნების შემდეგ უკრაინას გადასცემსო.***

– აბსოლუტურად არ აწყობს. ნებისმიერ შემთხვევაში „ქართული ოცნებისთვის“ მიშას მოცილება არის უპირველესი ამოცანა. უნდა შექმნან სიტუაცია, უნდა გაასამართლონ საზღვრის უკანონო კვეთაზე და ალბათ მერე გადასცემენ უკრაინულ მხარეს. აი ეს იქნება მათთვის იდეალური გამოსავალი. თუმცა, ისიც ხომ ვიცით, რომ „ქართული ოცნება“ დამოუკიდებელი არ არის საკუთარ გადაწყვეტილებებში, ასრულებენ ერთი ადამიანის პირდაპირ მითითებებს. ჩვენ ხომ არ ვიცით, იმ ადამიანის თავში რა იხარშება, ამიტომ პროგნოზების გაკეთებისგან თავს შევიკავებ. ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს რუსეთის დაკვეთაა და ასე შემდეგ. ნამდვილად არ აწყობს რუსეთს მკვდარი და გმირი მიშა.

***– მეორე ტურის როგორ დასასრულს ელოდებით?***

– უბრალო არითმეტიკის ამბავია, მე ვერ ვხედავ იმის შანსს, რომ გახარიას ამომრჩეველი წავიდეს ნაციონალების მხარეს. გახარია მკვეთრ პოზიციას გამოხატავდა ნაციონალების მიმართ, ხოლო ცუდი არაფერი უთქვამს „ოცნებაზე“ არასდროს. ამ ადამიანს საკმაოდ მაღალი პროცენტები აქვს, ბათუმში განსაკუთრებით, ასევე, ქუთაისშიც. ამ ხალხის დიდი უმრავლესობა კი წავა „ოცნების“ ამომრჩევლად. არითმეტიკა გვეუბნება იმას, რომ ყველა ქალაქში უნდა გაიმარჯვოს „ქართულმა ოცნებამ“!

# „ციხეში არავის ყოფნა არ მახარებს, მაგრამ არც სახელმწიფო გადატრიალება მინდა“

## ანზორ აბრალავა: „ნეიტრალური ამომრჩეველი იმოქმედებს იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან არჩევნების მონაწილეები“

მარიამ მჭედლიშვილი

**ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის წინა პერიოდი ქვეყნისთვის რთულ და არაერთგვაროვან სიტუაციას დაემთხვა. შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.**



***– საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გრძელდება საპროტესტო აქციები მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით. ხელისუფლება აცხადებს, რომ მესამე პრეზიდენტს მინიმუმ 6 წლით მოუწევს სასჯელის მოხდა. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება?***

– გარკვეული ჯგუფები, რომლებიც თავს მთავარ ოპოზიციას უწოდებენ, ძალიან ცუდ საქმეს აკეთებენ. ისინი ცდილობენ, ადამიანებს დააკარგვინონ კანონის უზენაესობის განცდა. ამბობენ, რომ საშინელი მართლმსაჯულება გვაქვს და მას არ უნდა დავემორჩილოთ. თუ ასეა, მარტო ყოფილი მაღალჩინოსნები ხომ არ არიან ციხეში?! ავდგეთ, აღვმართოთ თეთრი ბაირაღები და სხვებიც გავათავისუფლოთ. ნაციონალურ მოძრაობას რომ ჰკითხო, არსად, არასდროს არავის დაუპატიმრებია საკუთარი პრეზიდენტი. ეს ცოცხალი ტყუილია. ყოფილა პირველი პირების (პრეზიდენტების, პრემიერების) დაპატიმრების ბევრი ფაქტი სხვადასხვა სახელმწიფოში. მარტო სამხრეთ კორეაში ორი პრეზიდენტი იჯდა საპყრობილეში. ერთს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მეორეს – დახვრეტა, რომელიც შემდეგ სხვა სასჯელით შეეცვალა. ჩვენთვის კარგად ნაცნობი საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი ამჟამად შინაპატიმრობაში იმყოფება. ამ ტყუილებით ხალხის გრძნობებზე თამაშობენ. უნდათ, ადამიანები ძალიან აალელვონ.

***– რა მიზნით?***

– მიზნები უცვლელია – სახელმწიფო გადატრიალება. ეს არის უკვდავი თემა ნაცმოძრაობისა და მისი გარემოცვისათვის. ციხეში არავის ყოფნა არ მახარებს, მაგრამ არც სახელმწიფო გადატრიალება მინდა. ნაციონალები ყველაფერზე მიდიან საკუთარი მიზნების მისაღწევად. დაუკვირდით მათ ტექსტებს. ის პირები, რომლებიც თავის დროზე შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირში იყვნენ, ურცხვად აბრალებენ შევარდნაძისტობას თავის მოწინააღმდეგეებს. ეს კიდევ ერთი სიცრუეა, რომელიც აქვთ არსენალში. ვითომ კოალიციებითაც თვალში ნაცარს აყრიან საზოგადოებას.

***– ნიკა მელიას მიერ წარმოდგენილმა „კოალიციამ“, მართლაც, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.***

– ეს კოალიცია არ არის. ძირითადად ყოფილი და ახლანდელი ნაცები არიან ამ შემადგენლობაში. ნარკოლიბერალიზაციაზე, ნარკორეალიზატორების მიმართ ლოიალურობაზე ბევრჯერ გამომითქვამს გულისტკივილი. ამან გამოიწვია საზოგადოების დიდი ნაწილის ნარკომანიზაცია. როგორც ჩანს, უნდათ საზოგადოების განარკომანებული, ფაქტობრივად, დეგრადირებული სეგმენტის მიმხრობა.

***– რანაირად?***

– ვიცე-მერობის ერთ კანდიდატად მელიამ წარმოგვიდგინა ნარკომანიის აპოლოგეტი ზურაბ ჯაფარიძე. კიდევ ერთ ვიცე-მერად დასახელდა ბანკირი მამუკა ხაზარაძე, რომელსაც მე ვუწოდებ კრიმინალური ბურჟუაზიისა და თაღლითობის კლასიკურ მაგალითს. თუ ვინმეს დეტალები აინტერესებს, შემიძლია დოკუმენტები წარვუდგინო იმის დასამტკიცებლად, რომ მართალი ვარ. ახლა ამ ხალხს დიდ რეკლამას უწევენ. გვარწმუნებენ, რომ ხაზარაძე „კაი ტიპია“ – მღერის, და ა. შ. ეს კოალიცია კი არა, კარიკატურაა. ნაცმოძრაობის კამუფლაჟიც კი არ არის. პირდაპირ ნაცმოძრაობაა მასთან მიბმულ კრიმინალურ ბურჟუაზიასთან ერთად.

***– პროტესტი გაგრძელდება?***

– ალბათ, გაგრძელდება. ახლანდელი ოპოზიციური გეგმების დრო საგანგებოდ იქნა შერჩეული. მარტო არჩევნებში არ არის საქმე. ოპოზიციის ახლანდელი გააქტიურება დაემთხვა საქართველოს ნატოსთან ურთიერთობის ახალ პერსპექტივებს. საქართველო და უკრაინა ახალ რეალობაში შედიან.

***– ნატოში რომც არ მიიღონ საქართველო და უკრაინა, გათვალისწინებულია აშშ-ის მხრიდან ამ ქვეყნებისადმი სამხედრო დახმარების საგრძნობი ზრდა.***

– რასაკვირველია. აშშ ნატოს ღერძია. ჩემი შეფასებით, აშშ უდრის ნატოს. რუსეთს ამ გეგმების ჩაშლა უნდა. ტყუილად არ იქნა მოვლენილი სააკაშვილი. კონტეინერი, სადაც სააკაშვილი იჯდა, რუსული კონტეინერია.

***– შესაძლო არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის აშშ-ის გეგმებს?***

– აბა რა. გაიხსენეთ, რა მოხდა 2007 წლის 7 ნოემბერს. სააკაშვილის ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია საპროტესტო აქციის მონაწილეები. ეს მოხდა ნატოს ბუქარესტის სამიტამდე ცოტა ხნით ადრე. ეს ისეთი დარბევა იყო, რომელიც დაგმო მთელმა დასავლეთმა. ამის შემდეგ შეფერხდა საქართველოს სვლა ნატოსკენ. რომ გაიძახიან, დემოკრატ სააკაშვილს დასავლეთი ტაშს უკრავდაო, ესეც დიდი ტყუილია. სააკაშვილი არასდროს ყოფილა დემოკრატიის შუქურა.

***– არჩევნების მეორე ტურს შევეხოთ. მეორე ტურში ორი პარტია გავიდა. თქვენი აზრით, როგორ მოქცევა ნეიტრალური ამომრჩეველი, რომელიც არც ერთს არ ემხრობა?***

– ნეიტრალური ამომრჩეველი იმოქმედებს იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცევიან არჩევნების მონაწილეები. ხელისუფლებამ, ჯერ ერთი, ხალხთან მეტად უნდა იკონტაქტოს. მეორეც, გასაგებად თქვას, რა საფრთხის წინაშე დგება ქვეყანა, ვის რა გეგმები აქვს.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები დაახლოებით ამ შინაარსის განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ მათი გამონათქვამები უმეტესად არასერიოზულ შთაბეჭდილებას ქმნის.***

– ეს გამონათქვამები არასაკმარისია. განმარტებების გარდა, ხელისუფლებამ ხალხს უნდა მოუსმინოს. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა და გამგეობებმა, ასევე სხვა რგოლებმა, საზოგადოების ზარებს უნდა უპასუხონ, ხალხს შეხვდნენ, კარი არ ჩაკეტონ. ესეც იმოქმედებს ნეიტრალურ ამომრჩეველზე.

***– აშშ-ის გააქტიურების ფონზე რუსეთიც არ დარჩება გულხელდაკრეფილი?***

– სამწუხაროდ, ასეა. კრემლს უნდა საქართველოში მუდმივი დაძაბულობა და თუ გამოვიდა, გადატრიალებები. ხომ ხედავთ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ამოვარდა კონტექსტიდან. სხვა პრობლემებმაც უკან გადაიწია. ნაციონალები რომ იყვნენ ხელისუფლებაში, ტერიტორიები (ასევე ეკონომიკის დიდი წილი) რუსეთს ჩააბარეს. ახლა ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ყურადღება სხვა თემებზე გადავიდეს და ტერიტორიები არავის გაახსენდეს. საზოგადოებას მეტი დაკვირვება მართებს. სახელმწიფოზე ყველამ უნდა ვიზრუნოთ. სახელმწიფოებრიობა მარტო დროშის ფრიალი და სადღეგრძელოები არ არის. ჩვენგან გონიერების გამოჩენაა აუცილებელი.

# „სააკაშვილს თავგანწირვა შეუძლია“

## სოსო ცინცაძე: „კობახიძის განცხადებები შიმშილზე სამარცხვინოა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო სოსო, ირაკლი კობახიძემ – მიხეილ სააკაშვილი ნესტან-დარეჯანი არ არის, რომ ციხიდან დაიხსნანო. ხელისუფლება სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანაზე არ არის თანახმა. პოლიტიკურ პროცესს თან ახლავს ადამიანის სიცოცხლის საფრთხე. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– ხელისუფლებისთვის მიხეილ სააკაშვილი ციხეში დიდი თავის ტკივილი რომ არის, ამას საუბარი არ სჭირდება. მახსენდება პრანკერების ყალბი სატელეფონო საუბარი უკრაინის შსს მინისტრ ავაქოვის სახელით მაშინდელ პრემიერ კვირიკაშვილთან და მისი რეაქცია გადმოცემაზე, არა, არ გვინდა.

მერწმუნეთ, ხელისუფლებისთვის სააკაშვილი ციხეში ცუდსა და უარეს შორის, უარესი არჩევანია. ყველაზე სწორი და ჭკვიანური პოლიტიკური გადაწყვეტილება უკრაინისთვის გადაცემაა. მით უფრო, ეს მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ როგორც ჩანს, უკვე პირადულია წამყვანი, გადამწყვეტი და არა პოლიტიკა.

დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებაში არავინ ფიქრობდა, რომ სააკაშვილი ასე ხანგრძლივად იშიმშილებდა. კობახიძის განცხადებები ნაწილობრივ შიმშილზე სამარცხვინოა. ამით თავს იმცირებს. თუ სადმე შეიძლება ადამიანი ბოლომდე გააკონტროლო, ეს ციხეა. როგორც ჩანს, სააკაშვილის გადაწყვეტილება გადახედვას არ ექვემდებარება. ის ამით ამბობს, რომ მზად არის ბოლომდე იბრძოლოს, თავიც კი გაწიროს.

***– სახალხო დამცველის განცხადებით, ციხის მე-18 დაწესებულება, სადაც სააკაშვილს სთავაზობენ გადაყვანასა და მკურნალობას, სტანდარტს არ შეესაბამება.***

– სულაც არ არის ამისთვის საჭირო სახალხო დამცველის დასკვნა, როდესაც ცხადზე ცხადია, რომ სამწუხაროდ, ჩვენი სამოქალაქო კლინიკების სამედიცინო აღჭურვილობა ჩამორჩება თანამედროვე ევროპულ, ამერიკულ სტანდარტს. ციხის საავადმყოფოს პირობები და დონე რომ არ იქნება დამაკმაყოფილებელი, ამაში ალბათ ეჭვს ვერავინ შეიტანს.

ასეთი კარგი პირობები თუ არის ჩვენს კლინიკებში, ციხის საავადმყოფოზე აღარ ვსაუბრობ, ფეხი რომ წამოსტკივდებათ და ფრჩხილის მოჭრა რომ უნდათ, ევროპაში რატომ გარბიან?! გერმანიასა და ავსტრიაში რატომ გარბიან ბრმანაწლავის ოპერაციის გასაკეთებლად?! ცხადზე უცხადესია, რომ ციხის საავადმყოფო არანაირ პირობებს არ აკმაყოფილებს და საწინააღმდეგო აზრში ისინი საზოგადოებას ვერ დაარწმუნებენ, რადგან ადამიანებმა შესანიშნავად იციან, რა დონეზეა საუბარი.

***– დაუსრულებლადაც ვერ იშიმშილებს. ფატალური შედეგი არც ხელისუფლებისთვის არ იქნება გამოსავალი. ხელისუფლება რამდენად აცნობიერებს შექმნილ ვითარებას?***

– ასე ვიტყოდი: საშიში ნერვების ომია. რომელ მხარეს უმტყუნებს ნერვები. სააკაშვილი იტყვის – ჯანდაბას, ვერ გაამართლა ჩემმა შიმშილობამ და დაიწყებს საკვების მიღებას, მაშინ ეს იქნება სააკაშვილის პოლიტიკური გარდაცვალება, რადგან ის მომხრეებს დაკარგავს. მოწინააღმდეგისთვის კი, ლანგრით მირთმეული საჩუქარი იქნება.

***– თქვენ უშვებთ ამ შესაძლებლობას, რომ შეწყვიტოს შიმშილობა და რუსთავის ციხეში ბედს შეეგუოს?***

– არა, არავითარ შემთხვევაში. როგორც ჩანს, სააკაშვილს კარგად ჰქონდა გათვლილი ეს ყველაფერი, როდესაც შიმშილობას იწყებდა და ამიტომ ვამბობ, რომ ის მზად არის ბოლომდე იბრძოლოს. ახლა, ხელისუფლებისთვის ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი იქნებოდა, შესუსტდეს პირადი დამოკიდებულება, პირადი ბოლმა და გადასცენ უკრაინას. ამით სახესაც შეინარჩუნებდნენ და მეტიც, შესაძლებელია პოლიტიკურადაც გაანეიტრალონ სააკაშვილი. მერე უკვე სააკაშვილის კარგა ხანს უკან დაბრუნება გამორიცხული იქნებოდა.

არ გამოვრიცხავ, „ოცნების“ შიგნით ერთმანეთს ამხნევებენ და ეუბნებიან – ალბათ ჩუმად ჭამს, არ მოკვდება, ვერ გაუძლებს ნერვები და ბოლოს მაინც დაიწყებს კვებას – ეს ძალიან სახიფათო თავის მოტყუებაა. რადგან 24 დღე შიმშილობა არ არის 5 დღე შიმშილობა.

ორივე მხარე ძალიან ღრმა ჩიხშია შესული. რასაკვირველია, აქ ხელისუფლების პასუხისმგებლობა გაორმაგებულია. ჩიხიდან გამოსვლას ძალიან გააზრებული, დიპლომატიური სვლა სჭირდება, ისე რომ, სახე შეინარჩუნონ. სააკაშვილზე ბევრი რამე არ არის დამოკიდებული. ციხიდან გვირაბს არავინ გათხრის და არც ციხეს აიღებს ვინმე, ეს გამორიცხულია. ერთადერთი, სააკაშვილს თავგანწირვა შეუძლია. ამიტომ ვამბობ, რომ გადამწყვეტი ხელისუფლება და მისი ქმედებაა. დღეიდან, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი დღე გადამწყვეტია. კრიტიკულ ზღვარს ვუახლოვდებით. თუმცა, 30 ოქტომბრამდე არაფერი არ მოხდება. მანამდე როგორი იქნება სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რთული სათქმელია.

შეიძლება ვთქვათ, რომ სააკაშვილის ეპოპეა ფინიშის სწორამდეა გასული. არჩევნების მერე, არ გამოვრიცხავ, დიპლომატიური გადაწყვეტილება იყოს მიღებული და არა სამართლებრივი.

# „მე არ მინდა ნაციონალების შვილებმა ის გამოსცადონ, რაც ჩემებმა გამოსცადეს“

## მაია ნიკოლეიშვილი: „ადამიანები ჩვენთან ვერ მოდიოდნენ, გვერიდებოდნენ. ერთია, რომ ეს გადაიტანე და მეორეა, რომ შენი ოჯახი მთლიანად იზოლაციაშია“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი პასუხობს.**

***– ქალბატონო მაია, ახალი ვითარება შეიქმნა – მიხეილ სააკაშვილი საპატიმროში მოხვდა. თქვენ რა გაგახსენათ მიშას საქართველოში დაბრუნებამ?***

– უამრავი ადამიანი თავის ტკივილზე საუბრობს. ბევრი ადამიანის პირადი ისტორია ვიცი. ერთმანეთს დეტალებს არ ვეკითხებით, ძალიან მტკივნეულია. ყველას უნდა, ის ტკივილი დაივიწყოს, თუმცა ვერ ივიწყებს. ტკივილი მთელი ცხოვრება მიჰყვება.

***– თქვენ შეძელით რეჟიმის მიერ მოყენებული ტკივილის დავიწყება?***

– ძალიან შევეცადე და შევძელი მოყენებული ტკივილის დავიწყება. არ მინდოდა გავბოროტებულიყავი. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ამაზე ფიქრი შევძელი (მანამდე ძალიან მტკივნეულ და საოცრად სტრესულ ვითარებაში ვიყავი), ვთქვი, მთავარია არ გავბოროტდე, რადგან შვილებს მშვიდი დედა სჭირდებათ.

ჩემი შვილებისა და ოჯახის გამო შევეცადე არ გავბოროტებულიყავი. დავიწყე ფსიქოლოგიის შესწავლა და შევძელი ყველაფრის მინავლება, მაგრამ ტკივილი არსად მიდის.

***– ანუ აპატიე?***

– ამის პატიება შეუძლებელია თუ არ დაინახავ, რომ იმ ადამიანმა გაიგო. თუ იმ ადამიანმა გაიგო, მაშინ შეიძლება აპატიო. თუ ვერ გაიგო და აქეთ გეთავხედება, მაშინ ვერაფერს აპატიებ.

***– ახლა ტკივილი გაგიახლდათ?***

– დიახ, ახლა ბევრი რამ გამახსენდა.

***– კერძოდ, რა?***

– გავიხსენე ის, რაც ჩემს ოჯახს ეხებოდა. ჭრილობა რომ გადახსნა, ისეა. ეს ჭრილობა ვერასოდეს შეხორცდება, მაგრამ პირს შეიკრავს და ისე ძალიან აღარ გტკივა. ახლა ძირითადად დიდ ტრავმა – შვილების მაშინდელი მდგომარეობა გამახსენდა. ჩემი შვილი 2-3 წლის შემდეგ მეგობრის ქორწილში წავიდა. მისი უახლოესი მეგობრები (ერთად გაზრდილები რომ იყვნენ, ერთად რომ ისხდნენ), თავს არიდებდნენ.

ჩემი უმცროსი გოგო სკოლაში რომ მივიდა, ერთმა მასწავლებელმა მეორეს უთხრა: ეს მაია ნიკოლეიშვილის შვილიაო. – უი, ესლა გვაკლდაო. წარმოიდგინეთ, ამას ბავშვი რომ იგებს, როგორია. ადამიანები ჩვენთან ვერ მოდიოდნენ, გვერიდებოდნენ. ერთია, რომ ეს გადაიტანე და მეორეა, რომ შენი ოჯახი მთლიანად იზოლაციაშია. როგორც ებრაელებს ჰქონდათ დავითის ვარსკვლავი ხელზე.

ძალიან მძიმე და მტკივნეულია, როდესაც შენს გამო ოჯახი ზარალდება, თუნდაც დამნაშავე იყო. ხომ შეიძლება მშობელი დამნაშავე იყოს, შვილზე რატომ უნდა გადადიოდე? მით უმეტეს, სულ სხვა რამ ხდებოდა და დღეს სასამართლოს მეშვეობით დამტკიცებული, დადასტურებულია, რომ მთელი საქმე შეთითხნილი იყო. უფროსი შვილი ძალიან მტკივა იმიტომ, რომ მისი უახლოესი მეგობრები ერიდებოდნენ. აი, ასეთი მტკივნეული იყო ის პერიოდი.

ახლა ნაცრეჟიმის მომხრეებმა მიშა ლამის წმინდანად შერაცხეს, რომელმაც სადისტური რეჟიმი დაამყარა. მიშამ გარშემო სადისტები, მანიაკალური ადამიანები შემოიკრიბა. მათ მთელი თავისი აგრესია, მთელი თავისი ბავშვობის ტრავმები, ჩვენზე გადმოიტანეს. კიდევ აქეთ გვეთავხედებიან. ჩემთვის ის კი არ არის მთავარი, კონკრეტულად, პიროვნება, მიშა ციხეშია. მე შევძელი ამის გადახარშვა.

***– ანუ თუ მიშას გამოუშვებენ, თქვენ პროტესტი არ გექნებათ?***

– მე სულ სხვა ფორმის პროტესტი მაქვს. ის კი არა, რომ აუცილებლად ეს ერთი კაცი იჯდეს ციხეში და პირადად მიშა დაიტანჯოს. არა, პიროვნული მე არ მაქვს. აქ მთავარია, ის გაიაზრონ, რაც ქართველ ხალხს სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა მოუწყო.

ჩემთვის მთავარია, შეფასება მიეცეს რეჟიმს, თორემ ოთხ კედელში იყვირებს მიშა თუ გარეთ იყვირებს, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. სააკაშვილი ველარ დაბრუნდება. დასჯა კი არა, იმის გააზრება და გაანალიზება უნდა მოხდეს, რაც იმ წლებში ხდებოდა, რათა აღარ განმეორდეს. სააკაშვილი ციხეში იქნება, მაგრამ სააკაშვილის ძმაკაცი გარეთ იქნება და იგივეს გააკეთებს, რადგან ნაცმოძრაობაში მანიაკალური ტიპების თავმოყრა იყო.

***– ე.ი. თქვენ რეჟიმისა და მისი შემოქმედების გასამართლებას მოითხოვთ?***

– გასამართლებამდე რეჟიმს ჯერ სახელი უნდა დაერქვას. უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია (რომელშიც ნაციონალები არ შევლენ), უნდა მიეცეს შეფასება და მერე გასამართლება. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მათმა შვილებმაც გამოსცადონ, რაც ჩემმა შვილებმა გამოსცადეს – უცნაური, სოციალური იზოლაცია. მათი შვილები ამისთვის მეცოდება, მაგრამ მათ თანამდებობები ველარ უნდა დაიკავონ. თანამდებობებს კი არ უნდა არჩევდნენ, პოლიტიკური საქმიანობის უფლება უნდა ჩამოერთვათ. ციხე ჩემს ტკივილს ვერ გაანელებს.

***– ნაცმოძრაობას თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრი მიეტმასნა და ცოტა დააკლდა მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას.***



– გეთანხმებით. ასე იმიტომ მოხდა, შეფასება არ მიეცა იმას, რაც 2003-2012 წლებში ხდებოდა. ყველა, ვისაც მიშა პარტიუკებს ეძახის, ნაცმოძრაობას მიეკრო, რადგან ცუდს ცუდი არ დაერქვა. ამიტომ ყველაფერი უნდა გაანალიზდეს, თავისი სახელი დაერქვას. მერე იქნებ ხალხი ამბობს, შევუნდოთო.

როგორც კომუნისტური პარტია აიკრძალა, როგორც ფაშიზმი გასამართლდა, ისე უნდა გასამართლდეს ის, რაც მოხდა 2003-2012 წლებში. ეს იყო ტოტალიტარული რეჟიმი.

***– როდესაც სააკაშვილის რეჟიმზეა საუბარი, თქვენ რა გახსენდებათ, გარდა იმისა, რომ თქვენ იყავით მსხვერპლი.***

– ბევრი რამ მახსენდება. უამრავი ადამიანი იყო მსხვერპლი. ამ პარტიის მხრიდან უსამართლობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ადამიანების პატიმრობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მათი დევიზი იყო ყოველი მესამე ციხეში, რათა დანარჩენებზე გავლენა ჰქონოდათ. ციხისა და სამართლის გამოყენება ადამიანების დასაშინებლად, სააკაშვილის მთავარი იარაღი იყო, რაც ექსპერიმენტი გახლდათ.

ასეთი სასტიკი, დაკომპლექსებული, ნარცისისტი და მანიაკალური აზრებით შეპყრობილი ადამიანები შეიკრიბნენ პატარა ქვეყნის სათავეში და საქართველო ცეცხლით და მახვილით მართეს.

***– ნაცებს დევიზი ჰქონდათ: ახალი ქართველის გაზრდა. უნდოდათ ახალი ქართველი გამოეყვანათ. ამაზე ხშირად საუბრობდნენ.***

– იგივე დევიზი ჰქონდა სტალინს, მაო ძე დუნს. ადამიანის გადაკეთება უნდოდათ. ორუველის „1984“ ზუსტად ეს არის. ზუსტად ამას აკეთებდნენ პატარა სახელმწიფოში და სააკაშვილმა შექმნა ჯუჯა ტოტალიტარიზმი.

ამის პარალელურად, სააკაშვილმა შეძლო ის, რომ ომში დამარცხება ხალხს აზეიმა, რაც სრული სიგიჟე და გაუგონარი რამაა. ორუველის „1984-ში“ პირდაპირ ციტირებაა იმისა, რაც ჩვენთან ხდებოდა. ამით ჩვენ მოვახერხეთ ყველაფრის ჩაკვლა, თუ რამე შეიძლებოდა შეცვლილიყო აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობაში.

***– 2012 წლის შემდეგ, 500 ათასი ადამიანი ხმას აძლევს ნაცმოძრაობას. მათი ნაწილი დღეს მიტინგზეც გამოდის და სააკაშვილის დაპატიმრების გამო პროტესტს აცხადებს. რით ახსნით ამას?***

– ეს არის საშინელი ფენომენი, სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემა, რომელიც, სამწუხაროდ, საზოგადოებაშია დაგროვილი. ქართულ საზოგადოებას ფსიქოლოგიურად ძალიან დიდი პრობლემები აქვს დაგროვილი. ზუსტად ამის გამოვლინებაა ის, რომ ამდენი მხარდამჭერია. გარკვეულწილად, მაზოხიზმიც არის და სტალინის სულიც.

***– 2012 წლის მერე ბევრი ფაქტი გამომჟღავნდა.***

– 2012 წლის შემდეგ ბევრი ფაქტი გამომჟღავნდა. მე მათთან მქონდა ურთიერთობა და ვიცი, ძალიან ბევრი სადისტურად იყო ნაცემი. ინიციატივა მქონდა, იმ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა მომხდარიყო, ვინც რეჟიმის დროს ცემა-წამება გადაიტანა. უამრავი დაზიანება ჰქონდათ, ამბობდნენ, რომ ორგანოები ჰქონდათ ამოცლილი. ორგანოებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ უამრავ ადამიანს ჰქონდა ტრავმული დაზიანებები ხერხემლის ძვლების და ა.შ., ის დაზიანებები არსად წასულა. ყველაფერი გამოსაკვლევია.

***– ანუ თქვენ მოითხოვთ სახელმწიფო კომისიის შექმნას, სისტემური დანაშაულობებისა და ტერიტორიულ მთლიანობის რღვევაზე დასკვნას და პასუხის მოთხოვნას.***

– დიახ, უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც ადამიანებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ სისტემურ დანაშაულობებს შეისწავლის, გააანალიზებს და დასკვნას დადებს. ეს მხოლოდ წინასაარჩევნო საუბრებად არ უნდა დარჩეს. ჯინი ამოშვებულია და უამრავი ადამიანის ტკივილი განახლებული. არჩევნების დამთავრებამ ეს ყველაფერი აღარ უნდა ჩააქროს. ველარ ჩააქრობს. არჩევნებამდე ერთი კვირა დარჩა. ვისურვებდი, ამ ერთი კვირის განმავლობაში მოქმედ ხელისუფლებას სახალხოდ დაედო პირობა, რომ ასეთი სახელმწიფო კომისია შეიქმნება, ყველა საქმე შეისწავლება და დასკვნა დაიდება, რომელსაც მსვლელობა მიეცემა.

# ნინო ლომჯარია: „ვითარება მე-18 დაწესებულებაში არ შეესაბამება ექიმთა ჯგუფის რეკომენდაციებს“

## „არსებობს რისკები უსაფრთხოების თვალსაზრისით“

2021 წლის 24 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, შესაძლო მიღებისთვის №18 დაწესებულების მზადყოფნის ხარისხი შეამოწმეს.

ომბუდსმენის განცხადებაში ნათქვამია, რომ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული ვითარება, სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით, სრულფასოვნად არ შეესაბამება ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემულ 2021 წლის 23 ოქტომბრის დასკვნასა და რეკომენდაციებს, ასევე არსებობს გარკვეული რისკები უსაფრთხოების თვალსაზრისით.

სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უნდა შეარჩიოს ალტერნატიული სამედიცინო დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნება სრულფასოვანი და ადეკვატური სამედიცინო სერვისის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს მესამე პრეზიდენტისთვის.

„სახალხო დამცველის რწმუნებულებმა გამოიკვლიეს, თუ რამდენად შეიძლება №18 დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილისთვის იმ სამედიცინო მომსახურების შეთავაზება, რაც ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის 2021 წლის 23 ოქტომბრის დასკვნით არის განსაზღვრული. დასკვნაში საუბარია კონკრეტულ სამედიცინო ინტერვენციებსა და ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანაზე, სადაც აღნიშნული დახმარების გაწევა იქნება შესაძლებელი.

№18 დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან გასაუბრებით, ასევე, ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო აღჭურვილობის დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია პატიმართა (მათ შორის მოშიმშილეების) სამედიცინო საჭიროებების მიწოდებისთვის საჭირო რესურსები. თუმცა, უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო საჭიროებებთან დაკავშირებით ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემული დასკვნა ითვალისწინებს გარკვეული სამედიცინო პროცედურების ჩატარებას, რაც, სამწუხაროდ, №18 დაწესებულებაში შეუძლებელია.

მაგალითად, ვერ განხორციელდება მაგნიტო-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია, დუპლექს-სკანირება. ასევე, დაწესებულებაში ამჟამად არ მუშაობს ექიმ-რეანიმატოლოგი, თუმცა ადმინისტრაციის განმარტებით, უახლოეს პერიოდში ელოდებიან შესაბამის სპეციალისტებს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდება



მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა №18 სამკურნალო დაწესებულებაში, იმ სამედიცინო მომსახურების მიღება, რისი შესაძლო საჭიროებაც განისაზღვრა ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ, ვერ შესრულდება ადგილზე და საჭირო იქნება, პერიოდულად მისი გადაყვანა სამოქალაქო ტიპის კლინიკაში. იმ გარემოების გათვალისწინებით კი, რომ ხანგრძლივად მოშიმშილე პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებისა და დამძიმების სრულფასოვანი წინასწარი პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვითარების კრიტიკულად შეცვლის შემთხვევაში, შესაძლოა პაციენტის გაყვანის პერიოდში საკმაოდ მძიმე ან გამოუსწორებელი შედეგები დადგეს.

აღსანიშნავია, რომ №18 დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალის ნაკლებობასა და რიგი სამედიცინო სერვისების არარსებობაზე სახალხო დამცველის დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიშში.

გარდა სამედიცინო სერვისისა, სახალხო დამცველის აპარატმა შეამოწმა ის პალატა, რომელშიც, №18 დაწესებულებაში ეტაპირების შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილის განთავსება იგეგმება.

უნდა აღინიშნოს, რომ №12 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ კატეგორიის პატიმრები არიან მოთავსებული, რომლებსაც გარკვეული ინტერესთა კონფლიქტი აქვთ სხვა პატიმრებთან (ყოფილი პოლიციელები, სამხედროები, თანამდებობის პირები). შესაბამისად, მათი ნებისმიერი სახით გადაკვეთა სხვა პატიმრებთან წარმოშობს უსაფრთხოების რისკებს, რომლებიც პენიტენციურმა დაწესებულებამ თავიდან უნდა აიცილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება პატიმრის უფლებების დარღვევა.

2021 წლის 24 ოქტომბრის მონიტორინგისას შემოწმდა ყველა ის ადგილმდებარეობა, სადაც საქართველოს მესამე პრეზიდენტს შეიძლება მოუხდეს ყოფნა/გადაადგილება (დაწესებულებაში განთავსებისას, საცხოვრებელ პალატაში ყოფნისას, ადვოკატებთან თუ ოჯახის წევრებთან შეხვედრისას, სეირნობის უფლებით სარგებლობისას, სამედიცინო მომსახურების მიღებისას, სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობისას, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო/ჰიგიენური პროცედურებისას) და დადგინდა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია გამოხატავს მზადყოფნას დაიცვას ნებისმიერი პატიმრის უსაფრთხოება, მიხეილ სააკაშვილთან მიმართებით არსებობს რისკები.

ინფრასტრუქტურა და გარემო ვერ გამორიცხავს პატიმართა გარკვეული ჯგუფების მხრიდან ვერბალური აგრესიისა და ხმაურის, სიტყვიერი შეურაცხყოფის თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის რისკებს. პრობლემური იქნება მიხეილ სააკაშვილთან ვიზიტორების შესვლაც, ვინაიდან ნებისმიერ შემსვლელს, მათ შორის ადვოკატებს, მოუწევთ გაიარონ №8 დაწესებულების ეზო, სხვა პატიმართა საცხოვრებელ კორპუსებთან ახლოს, რა დროსაც იზრდება გარკვეული სიტყვიერი დაპირისპირებისა თუ შეურაცხყოფის მიყენების რისკები. 2015 წელს დაფიქსირდა მსგავსი ინციდენტი №8 დაწესებულებაში.

ვინაიდან №18 დაწესებულებაში მოსახვედრად აუცილებელია №8 დაწესებულების ეზოს გავლა, ხოლო თავად №18 დაწესებულება მდებარეობს №8 დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსების გვერდით, მიგვაჩნია, რომ არსებობს ამ ორი დაწესებულების დეზორგანიზებისა და პატიმართა უსაფრთხოების რისკები. ეს საფრთხეები ხელს შეუშლის ამ დაწესებულებების პატიმართა და თანამშრომელთა სიმშვიდეს, დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებასა და წესრიგს, რაც ყველა პატიმრის მდგომარეობაზე აისახება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის დასკვნის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უნდა შეარჩიოს ალტერნატიული სამედიცინო დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნება სრულფასოვანი და ადეკვატური სამედიცინო სერვისის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს მესამე პრეზიდენტისთვის“ – აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ომბუდსმენი ავრცელებს.

# სააკაშვილის ადვოკატი: „განვიხილეთ ის პროვოკაციები, რომლებიც შესაძლებელია ხელისუფლებამ განახორციელოს“



მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შოთა თუთბერიძის განცხადებით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი თავს მხნედ გრძნობს, თუმცა შიმშილობა მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უკვე აისახა.

როგორც ადვოკატმა სააკაშვილის მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ისაუბრეს იმ პროვოკაციებზე, რაც შესაძლოა, ხელისუფლების მხრიდან განხორციელდეს.

– ძალიან შემართულია, მხნედ არის მორალური თვალსაზრისით, მაგრამ ცხადია, შიმშილობა მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს. ამასთან დაკავშირებით ექიმები ისაუბრებენ.

რაც შეეხება ჩვენი საუბრის თემას, ცხადია, განვიხილეთ ის შესაძლო პროვოკაციები, რომელიც შესაძლებელია ხელისუფლებამ განახორციელოს. მისი პოზიცია არის უცვლელი და ურყევი, ისეთი, როგორიც წინა დღეების განმავლობაში იყო, ის მზად არის და აგრძელებს პროტესტის გამოხატვას. ითხოვს, რომ პოლიტიკური დევნა და პოლიტიკური რეპრესიები მთავრობის მხრიდან შეწყდეს და მთელი ეს რესურსი ქართველ ხალხზე, საქართველოზე ზრუნვას მოხმარდეს, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რაც მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის დაცვისთვის არის აუცილებელი.

– მიხეილ სააკაშვილს უნდა გაეწიოს და გაეწევა შესაბამისი სამედიცინო დახმარება, – განაცხადა შოთა თუთბერიძემ.

მისი განმარტებით, შესაძლო პროვოკაციულ ქმედებებში ის გულისხმობს ხელისუფლების ქმედებებს, რამაც შესაძლოა სიტუაციის გამწვავება გამოიწვიოს. მან დამატებითი კონკრეტიკისგან თავი შეიკავა.

– მიხეილ სააკაშვილს ყველა შესაძლო პროვოკაციაზე აქვს პასუხი და დაცვის მხარე, ჩვენც, მისი უფლებადამცველები და, რაც მთავარია, ქართველი ხალხი, ყველა შესაძლოა პროვოკაციას გავცემთ პასუხს, ცხადია, კანონმდებლობის ფარგლებში, – განაცხადა თუთბერიძემ.

მისი განმარტებით, ექიმთა კონსილიუმის დასკვნის შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილი მრავალპროფილურ საავადმყოფოში უნდა გადაიყვანონ.

# რატი ბრეგაძე: „მე-18 დაწესებულების ინფრასტრუქტურა პაციენტის მისაღებად მზადაა“

– საჭიროების შემთხვევაში გამოვთქვამთ მზადყოფნას, რომ კონსილიუმის წევრებს მიეცეთ დაწესებულების დათვალიერების შესაძლებლობა.

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ №18 სამკურნალო დაწესებულებაში სტუმრობის შემდეგ განაცხადა.

იუსტიციის მინისტრი №18 ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არსებულ პირობებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიასთან ერთად გაეცნო.

– თამარ გაბუნიასთან ერთად დავათვალიერეთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მე-18 სამკურნალო დაწესებულება. როგორც ექიმები გვეუბნებიან, დაწესებულების ინფრასტრუქტურა არის სრულიად გამართული პაციენტის მისაღებად. საჭიროების შემთხვევაში გამოვთქვამთ მზადყოფნას, რომ კონსილიუმის წევრებს მიეცეთ, ასევე, დაწესებულების დათვალიერების შესაძლებლობა, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, №18 (სამკურნალო) დაწესებულების კლინიკას აქვს სრული აღჭურვილობა, რათა მან აწარმოოს უსაფრთხო სერვისი როგორც გადაუდებელი დახმარების, ისე ინტენსიური თერაპიის და რეანიმაციის მიმართულებით.




– ეს რეანიმაციული განყოფილება, რომელიც ორ ადგილზეა გათვალისწინებული, აღჭურვილია უახლესი აპარატურით, მათ შორის, ხელოვნური სუნთქვის აპარატით, დეფიბრილატორით, კარდიომონიტორით, ინფუზიის აპარატით, რაც აუცილებელია ელექტროლიტური დისბალანსის შემთხვევაში სითხეების და ელექტროლიტების გადასხმისა და მონიტორინგისთვის. ამდენად, აქ არის ყველა ტექნოლოგიური პირობა, რათა უსაფრთხოდ განხორციელდეს ინტენსიური თერაპია, პაციენტზე დაკვირვება; ასევე, პერსონალი, რომელიც მობილიზებულია კონკრეტულად ამ განყოფილებაში სამუშაოდ, არის ძალზე გამოცდილი, უდიდესი კვალიფიკაციის. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ხარისხი, რაც იქნება – ამ შემთხვევაში სამედიცინო სერვისის, არის სრულიად შესაფერისი ნებისმიერ სტანდარტთან, რომელიც მისაღებია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო დონეზე. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ეს განყოფილება სრულად გამართულია, რომ პაციენტი მიიღოს და უმკურნალოს, – განაცხადა თამარ გაბუნიამ.

ადგილზე, ასევე, იმყოფებოდნენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელი ნიკა ცხვარაშვილი და სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორი ზაალ კაპანაძე.

№18 (სამკურნალო) დაწესებულებაში სტუმრობისას მათ დაათვალიერეს დაწესებულების ლაბორატორია, რეანიმაციული განყოფილება და ადგილზე გაეცნენ ყველა იმ სერვისს, რასაც დაწესებულება იქ მოხვედრილ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს სთავაზობს.

ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

# ბათუმში 13 წლის გოგონას თანატოლებმა რესტორანში სცემეს

ბათუმში მერვე კლასის მოსწავლე რეინჯერების ძველ რესტორანში წაიყვანეს და სასტიკად სცემეს.

სავარაუდოდ, ასევე არასრულწლოვნები 13 წლამდე გოგოს აგინებენ და ფიზიკურად უსწორდებიან.

არასრულწლოვნებმა სასტიკი ფაქტი მობილურით გადაიღეს და სოციალურ ქსელ „ტიკ ტოკზე“ გაავრცელეს.

– მითხარი, რა ხარ, მითხარი მეთქი, რა ხარ, კიდე გაიმეორე, თორე დაგარტყამ კიდევ ერთხელ, – მიმართავს მოძალადე არასრულწლოვანი თანატოლს.

მომხდარს წინ სკოლის მოსწავლის მიმართ კიბერბულინგი უძღოდა.

სკოლა ფაქტს ადასტურებს.

სკოლის დირექტორის თქმით, ის ბავშვს და მის მშობელს არ გასაუბრებია, რადგან 13 წლის მოზარდს მამა დაეღუპა.

– გოგონებს შორის მოხდა რაღაც ინციდენტი, ძალიან არასასიამოვნო და არაეთიკური. მშობელს დავუკავშირდი, თუმცა ბავშვს მამა გარდაეცვალა და ვეღარ დაველაპარაკე და ვერც დავიბარე.

ეს უკვე არის გამოძიების თემა და რასაც ის დაადგენს, ჩვენც, ალბათ, ის ინფორმაცია გვექნება.

ვიცით, რომ გოგონებს შორის მოხდა რა-




ღაც შელაპარაკება, რასაც მოჰყვა გაგრძელება. როგორც ვიცი, მოპირისპირე მხარემ მოიყვანა კიდევ თავისი მეგობარი თუ მეგობრები. გაგრძელება აქვს ამ ინციდენტს, – ამბობს დირექტორი.

ბათუმის რესურსცენტრის განმარტებით, 13 წლის მოზარდზე თანატოლების ძალადობის ფაქტი სკოლის ტერიტორიაზე არ მომხდარა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბათუმის რესურსცენტრში განუცხადეს, შემთხვევა ბულვარში მოხდა.

– ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ შემთხვევა არასამუშაო პერიოდში მოხდა. ფაქტი სკოლის ტერიტორიაზე არ მომხდარა. როგორც ვიცით, მოზარდს არ აქვს დაზიანებები.

ფაქტის შეტყობინების შემდეგ, სკოლის ადმინისტრაციამ მომხდარი მშობლებს, ფსიქოლოგებსა და შსს-ს წარმომადგენლებს შეატყობინა.

ისინი სხვადასხვა სკოლის ბავშვები არიან. ერთმანეთს იცნობდნენ და სკოლის გარეთ ჰქონდათ კონფლიქტი, – აცხადებენ ბათუმის რესურსცენტრში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით დაიწყო, რაც მუქარას გულისხმობს.

– გამოძიება არის მასშტაბური საქმიანობა და საჭიროებს ყველა დეტალის შესწავლას და ანალიზს, დაველოდოთ გამომძიებლებს – თუ საჭირო იქნება, მოხდება მუხლის გადაკვალიფიცირება, თუმცა, ეს დამოკიდებული იქნება საქმის გარემოებებზე, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ.

როგორც მან აღნიშნა, ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება ტარდება და საჭიროა გარკვეული დრო, რათა დეტალები დადგინდეს.

– სახელმწიფომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სკოლებში შესაძლო ძალადობის პრევენციის მიმართულებით, შესაბამისი სამინისტროები მუშაობენ ძალიან აქტიურად, მოქმედებს მანდატურის სამსახური, საკანონმდებლო დონეზე დამტკიცებულია რეფერირების მექანიზმი, რა თქმა უნდა, იმის გამორიცხვა, რომ მსგავსი ფაქტები საერთოდ არ მოხდეს, შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა დროული, სწრაფი და ეფექტური რეაგირება, – განაცხადა დარახველიძემ.

# ავღანეთს საკვებთან დაკავშირებული კრიზისი ემუქრება

– მილიონობით ავღანელი ამ ზამთარს შიმშილის წინაშე აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ამის ასაკვეთად გადაუდებელი ზომების მიღება არ მოხდება.

ამის შესახებ გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის განცხადებაშია აღნიშნული.

კერძოდ, ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის, დევიდ ბაზლის განცხადებით, ავღანეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, დაახლოებით 22.8 მილიონ ადამიანს, საკვების მწვავე ნაკლებობა ემუქრება, 5 წლამდე ასაკის 3.2 მილიონ ბავშვს კი – არასაკმარისი კვება.

– ავღანეთში ახლა მსოფლიოში ერთ-ერთი მძიმე, ან, შესაძლოა, უმძიმესი ჰუმანიტარული კრიზისია. კატასტროფისკენ მივდივართ და თუკი ახლავე არ ვიმოქმედებთ, ხელში ნამდვილი უბედურება შეგვრჩება, – აღნიშნა გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის აღმასრულებელმა დირექტორმა.

სექტემბერში საერთაშორისო საზოგადოებამ ავღანეთისთვის დახმარების სახით მილიარდ დოლარზე მეტის გამოყოფის პირობა დადო, თუმცა მსოფლიო სასურსათო პროგრამაში აცხადებენ, რომ ეს ზღვაში წვეთია და მდგომარეობის გამოსასწორებლად თვეში დაახლოებით 220 მილიონი აშშ დოლარია საჭირო.

# მსოფლიო პატრიარქი ბართლომე აშშ-ის კლინიკაში გადაიყვანეს



მსოფლიო პატრიარქი ბართლომე აშშ-ში ვიზიტის დროს ჯორჯ ვაშინგტონის საუნივერსიტეტო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინფორმაციას ამერიკის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის არქიეპისკოპოსის ეპარქია ავრცელებს.

წმინდა სოფიას საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების ჩატარებამდე უწმინდესმა თავი შეუძლოდ იგრძნო ხანგრძლივი ფრენისა და გადატვირთული გრაფიკის გამო.

ექიმმა პატრიარქზე დაკვირვების მიზნით ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის საავადმყოფოში გადაყვანის რეკომენდაცია გასცა.

პატრიარქი თავს კარგად გრძნობს, თუმცა, ექიმების რეკომენდაციით, ღამე საავადმყოფოში გაატარა.

# უზბეკეთის საპრეზიდენტო არჩევნებში შავკატ მირზიიოევი ლიდერობს



უზბეკეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედი პრეზიდენტი შავკატ მირზიიოევი ლიდერობს.

მირზიიოევს ხმების 80%-ზე მეტი აქვს მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის პრეზიდენტად მეორე ვადით, კიდევ 5 წლით, აირჩიეს.

უზბეკეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზაინიდინ ნიზამხოჯაევმა განაცხადა, რომ არჩევნები დემოკრატიული სტანდარტების დაცვით ჩატარდა.

უზბეკეთში საპრეზიდენტო არჩევნები 24 ოქტომბერს გაიმართა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საკალათბურთო სუპერლიგა თსუ-მ რიხიანად დაიწყო

**თსუ-ოლიმპი 83:76**
**(25:23, 22:26, 19:12, 17:15)**

სუპერლიგის ფავორიტების მატჩში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ოლიმპი დაამარცხა – 83:76. ტრავმების გამო ორივე გუნდს დანაკლისი ჰქონდა, მაგრამ ოლიმპი მეტად დაზარალებული გახლდათ. დავით როგავას გუნდს სასტარტო ხუთეულის მთელი უკანა ხაზი აკლდა: ეროვნული ნაკრების წევრები გივი ბაქრაძე და კახა ჯინჭარაძე, ასევე ლეგიონერი კენდრიკ ტომპსონი.

რაც შეეხება უნივერსიტეტელებს, მათ ერთი და მთელს სუპერლიგაში გამორჩეული კალათბურთელი აკლდათ: ეროვნული ნაკრების ძირითადი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე. თსუ-ელებისთვის, რომლებსაც განაცხადში 9 მოთამაშე ჰყავთ, ნებისმიერი კალათბურთელის დაკლება დიდი მინუსია და მით უმეტეს, გუნდის მთავარი მამოძრავებელი ძალის არყოფნა უნივერსიტეტელთათვის დიდი თავსატკივარი იყო.

ცინცაძის ტრავმა ხანგრძლივია და ის ვერც თსუ-ს და ვერც ეროვნულ ნაკრებს უახლოესი 6-8 თვის მანძილზე ვერ დაეხმარება. ლექსო ლაფანაშვილი გუნდს სხვა ყაიდაზე ათამაშებს, სადაც დირიჟორი ამერიკელი ლეგიონერი ლოველ ქაბილია. პირველ ტურში, როცა თსუ-მ დინამო დაამარცხა, ქაბილმა




34 ქულა მიითვალა. ოლიმპთან გამარჯვებაში მისი წილი, ასევე, სოლიდური იყო – 29 ქულა, 8 მოხსნა, 5 ჩაჭრა და 4 პასი.

ოლიმპი იოლად არ დანებებულა. როგავას გუნდი განსაკუთრებულად კარგად პირველ ნახევარში თამაშობდა და პერიოდულად ლიდერობდა კიდეც. ბოლო წამზე აბდულაი ბუნდუმ ორქულიანი ჩააგდო და ოლიმპელები დიდ შესვენებაზეც უპირატესობით გავიდნენ – 49:47.

მე-3 პერიოდში თსუ-მ დაცვა გაამაგრა და აქცენტი პერიმეტრზე გადაიტანა. შორი სროლებითა და სწრაფი გარღვევებით თსუ-მა ლიდერობა დაიბრუნა, მესამე პერიოდი 19:12 მოიგო და ბოლო პერიოდის წინ 5 ქულით დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში უნივერსიტეტელებმა ქაბილის, ახალგაზრდა ლევან ქვარცხავასა და მეორე ამერიკელის, დარელ ოუენსის მექულეობით უპირატესობა 15 ქულამდე გაზარდეს და შეხვედრის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს.

**ქუთაისი-ვეჯა 132:96**
**(33:30, 33:18, 38:22, 28:26)**

იმერულმა კლუბმა, რომელმაც სუპერთასი უკვე მოიგო, სუპერლიგაც იოლი გამარჯვებით დაიწყო. კოტე ტულუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა ვერას უმასპინძლეს და 36 ქულის სხვაობით დაამარცხეს. წაგებულმა თბილისელებმა ამ შეხვედრაში 96 ქულა ჩააგდეს, რაც საკალათბურთო მატჩისთვის ზოგადად ბევრია, თუმცა ქუთაისელებმა ძალიან ბევრი – 132 ქულა ჩააგდეს და სეზონის უხვქულიანი მატჩი გამოაცხვეს.

პირველი პერიოდი შედარებით თანაბარი გამოვიდა, რომელიც მასპინძლებმა 33:30 მოიგეს. მეორედან კი, ქუთაისელთა უპირატესობა ცხადი გახდა. ათწუთეული იმერულმა გუნდმა 33:18 მოიგო და დიდ შესვენებაზე 18-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა. ვერე-3 პერიოდში ჰქონდათ, მაგრამ ისევ ქუთაისელთა კარნახით გაგრძელდა და შეხვედრის ბედი საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე გადაწყდა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო ეროვნული ნაკრების წევრი გიორგი კორსანტია, რომელმაც 32 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. 21 ქულა და 10 პასი ოთარ ფხაკაძემ დააგროვა, ხოლო ახალგაზრდა ნიკოლოზ სოსელიამ ქუთაისში კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა – 19 ქულა, 4 მოხსნა. ვერელთაგან 25 ქულითა და 8 პასით დარელ ბრაუნი გამოირჩა, ზაკ სელიასის ანგარიშზე კი, 22 ქულა დაგროვდა.

**კაქტუსი-ცხუმი 77:84**
**(17:25, 18:17, 17:24, 25:18)**

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილ კაქტუსელებს პირველი ტურის შეხვედრა წაგებული ჰქონდათ, ცხუმელთათვის კი, ეს პირველი მატჩი იყო, რადგან კალენდრის მიხედვით პირველ წრეში ისვენებდა. მთავარი მწვრთნელის რანგში ირაკლი ძიძიგურის დებიუტი წარმატებული გამოდგა.

კაქტუსი არ გახლდათ ხელწამოსაკრავი. ჟღენტის გუნდმა წინა ტურის შემდეგ 2 სოლიდური უკანახაზელი დაიმატა – რუმინეთის უმაღლეს ლიგაში გატარებული სეზონის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა რეზო როგავა, რომელმაც ბოლო სეზონები სუპერლიგაში ოლიმპში გაატარა. მასთან ერთად კაქტუსელებმა რიგიანი ამერიკელი ჯორდან ფორბსი დაიმატეს.

შეხვედრა სწრაფ ტემპში წარიმართა და ცხუმ-აფხაზეთის გამარჯვებით – 84:77 დასრულდა. ძიძიგურის გუნდმა პირველი პერიოდი 25:17 მოიგო და შემდეგ ლიდერობას მთელი თამაშის განმავლობაში ინარჩუნებდა. კაქტუსი კი ცდილობდა გაბათილებას, რაც კარგად არ გამოსდიოდა და შეხვედრა ისე ჩამთავრდა, რომ მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. როგავა და ფორბსი გუნდს უკეთესად რომ შეუთამაშდებიან, კაქტუსელთაგან კარგ შედეგებს უნდა ველოდოთ. ცხუმ-აფხაზეთი კი, თავისი შემადგენლობით სუპერლიგის ერთ-ერთ ფავორიტად შეიძლება ჩაითვალოს.

**ბათუმი-დინამო 97:100**
**(18:22, 14:24, 35:10, 16:27, 14:17)**

განსაკუთრებულად დაძაბული გამოდგა ბათუმში გამართული შეხვედრა, რომელშიც გამარჯვებულის გამოვლენას ოვერტაიმი დასჭირდა.

უხვქულიანი მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მეორე პერიოდში დინამოელთა უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია – 44:24, თუმცა მასპინძლებმა გათანაბრება ხომ მოახერხეს და მესამე პერიოდში 14 ქულით – 72:58 დაწინაურდნენ. მესამე ათწუთეული მასპინძლებმა 35:10 მოიგეს და ბოლო პერიოდის წინ 11 ქულით იგებდნენ.

ზუსტად 11 ქულით – 27:16 მოიგო ჟოლივეტ ტუჯანის გაწვრთნილმა დინამომ დასკვნითი პერიოდი და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიზარდა, სადაც უკეთესი სტუმრები აღმოჩნდნენ და დინამომ ბათუმიდან გამარჯვება წამოიღო – 100:97.

დამარჯვებულთაგან 32 ქულით საუკეთესო იყო ვოვა თავაქარაშვილი, რომელმაც 8 სამქულიანი და ჯამში 32 ქულა ჩააგდო. დინამოელთა ახალწვეულმა რაჰსან უილიამსმა დებიუტი 16 მოხსნით აღნიშნა, რასაც 6 ქულა და 5 დაფარება მოაყოლა. 33-ქულიანი დებიუტი ჰქონდა მეორე ამერიკელს, ბენჯამინ ქოლეჯს, რომელმაც დინამოელთა უკანა ხაზი გვარიანად გააძლიერა. ბათუმელთაგან 28 ქულითა და 16 მოხსნით საუკეთესო იყო ბექა ბექაური. 18 ქულა სოსო გოგნაძის ანგარიშზეა.

**მეგა-ტიტები 75:62**
**(19:21, 21:14, 14:15, 21:12)**

მატჩი ისტორიული გამოდგა მეგასთვის, რომელმაც სუპერლიგაში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ა ლიგიდან ამოსულმა გუნდმა პირველ ტურში ფავორიტ ოლიმპთან ვერაფერი გააწყო, ამჯერად კი, დიდი მობილიზებით – 75:62.

მიხეილ ტერბოვის გაწვრთნილ მეგას 26 ქულითა და 13 მოხსნით დემონტე ფინგანმა ულიდერა. 13 ქულა, 8 პასი და 7 მოხსნა ჯიომ ჰენსონმა, ხოლო 11 ქულა ოთო ბულიაგამ მიითვალა. ტიტებში 11 ქულითა და 12 მოხსნით ჯავიონ ოგუნბოიე გამოირჩა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# გოგონა საკუთარი მკერდის ზომამ და მამაკაცების კომენტარებმა შეაწუხა

ლონდონის მკვიდრი 23 წლის მელისა-მეი ლიტა საკუთარი მკერდის ზომამ შეაწუხა. 10 ზომის მკერდის მფლობელმა ლიტამ განაცხადა, რომ მისი მკერდი უკვე 13 კილოგრამს იწონის. ის გამუდმებით იზრდება და სრულფასოვან ცხოვრებაში უშლის ხელს. გოგონას თქმით, როდესაც 10 წლის იყო, მისმა მკერდმა სწრაფად დაიწყო ზრდა და 16 წლის ასაკისთვის უკვე რვა ზომას მიაღწია.

– მე ვიზრდებოდი და ისიც აგრძელებდა ზრდას. ამის გამო ბევრი ფიქრობდა, რომ იმაზე დიდი ვიყავი ასაკით, რაც სინამდვილეში. მამაკაცებისგან უხამს კომენტარებს ვიღებდი. ეს ნამდვილი საშინელება იყო, – აღიარა ბრიტანელმა გოგონამ,



რომელმაც ასევე დაამატა, რომ სოციალურ ქსელებში უამრავ შეურაცხმყოფელ შეტყობინებას იღებდა.

გოგონა მკერდის დაპატარავების ოპერაციის გაკეთებაზე ოცნებობს, მაგრამ ექიმები ამჟამად უარს ეუბნებიან. ამისთვის მან ჯერ ზედმეტი წონა უნდა მოიშოროს. ამ დროისთვის ლიტა სამედიცინო უნივერსიტეტს ამთავრებს და მედდობისთვის ემზადება.

# მილიონერმა ბანკის თანამშრომლები აიძულა, 50 ათასი ბანკნოტი ხელით გადაეთვალათ



ჩინეთის ქალაქ შანხაიში ბანკში მილიონერი მივიდა, ანგარიშიდან ფული მოხსნა და ფინანსური დაწესებულების თანამშრომლები აიძულა, 50 ათასი ბანკნოტი ხელით გადაეთვალათ. ჩინეთის სოციალურ ქსელებში ცნობილმა მილიონერმა ცუდ სერვისზე დაიწუწუნა, რის გამოც მან გადაწყვიტა, საკუთარი ფული ერთი ბანკიდან მეორეში გადაეტანა. მან ბანკის ორ თანამშრომელს სთხოვა, საჭირო თანხა გაემზადებინათ და კუპიურები ხელით გადაეთვალათ. ამის გასაკეთებლად მათ ორი საათი დასჭირდათ. ბანკის წარმომადგენლის მონაცემებით, მამაკაცი შენობაში დამცავი სამედიცინო ნიღბის გარეშე იყო შესული და გაცოფდა, როდესაც ნიღბის გაკეთება მოსთხოვეს. მისი თქმით, შესაძლოა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ბანკიდან ფულის გატანა და დაწესებულების თანამშრომლები აიძულა, ხუთი მილიონი იუანი ხელით გადაეთვალათ. წასვლის წინ კი მილიონერმა განაცხადა, რომ დარჩენილი თანხის წასაღებად კიდევ დაბრუნდება.

# ზვიგენმა გამოსაფხიზლებლად წყალში შესული ქორწილის სტუმარი დაკბინა

ავსტრალიაში ზვიგენი თავს დაესხა და დაკბინა მამაკაცი, რომელმაც ქორწილის დროს გადაწყვიტა ოკეანეში ებანავა. 34 წლის ტოდ პრაისი თავისი მეგობრის ქორწილში იყო მიწვეული, რომელიც იახტაზე კვინსლენდის შტატის სანაპიროს მახლობლად უიტსანდის არქიპელაგში აღინიშნებოდა. გახურებული ქეიფის დროს მამაკაცმა გაგრილება გადაწყვიტა.

– დამცხა და წყალში ჩაყვინთვა გადავწყვიტე. ცურვას არ ვაპირებდი, უბრალოდ მინდოდა ცოტათი გავგრილებულიყავი, – განაცხადა პრაისმა.

როგორც კი მამაკაცმა იახტის გვერდით ჩაყვინთა, მაშინვე იგრძნო, რომ ფეხზე რაღაც ებღაუჭებოდა. პრაისმა ხელი წყალში ჩაყო და იქ მტაცებელი თევზის თავს გადააწყდა. მან ზვიგენს ხელი უბიძგა, თავიდან მოიშორა და იახტაზე ტრაპით ასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს ზვიგენმა ისევ შეუტია და ფეხის ქვედა ნაწილში ჩაასო კბილები.

პრაისმა მაინც მოახერხა გემბანზე ასვლა. მან ამ ინციდენტის შედეგად სერიოზული დაზიანებები მიიღო. მას იქვე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება და სასწრაფოდ უახლოეს კუნძულზე მიიყვანეს, საიდანაც შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მამაკაცს ძალიან გაუმართლა, რომ ზვიგენთან შეხვედრა უფრო მძიმე შედეგით არ დასრულდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მეთოდებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს. შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მეთოდებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

- 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებების შორის აგრესიები, მოლალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიძულვილი და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# ბათუმის დინამომ აუტსაიდერთან წააგო და თბილისის დინამოს შანსი გაუჩინა

**სამტრედია-დინამო (ბთ) 1:0**

**1:0 მესიაჩენკო (90)**

**58-ე წუთზე ფანცულაიამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)**

**სამტრედია:** ქურდაძე, მჭედლიშვილი, გადრანი, გიორგაძე, ახალაძე, პავიშიჩი, ცეცხლაძე (მესიაჩენკო 86), იოსელიანი (პრელჩეცი 60), არაბიძე, კვირკვია, ლომთაძე (ენდელაძე 66)

**დინამო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, მ.კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ტეიდი (ალთუნაშვილი 46), მანჯგალაძე, თ.გაფრინდაშვილი (შინდაგორიძე 60), ზარია (ნიქაბაძე 74), ჯილაური (ფანცულაია 46), ჯოვინო (70. გროცურეკი)

**გაძევება:** ახალაძე (45)

ლიდერი ბათუმის დინამო აუტსაიდერ სამტრედიას ესტუმრა და მიუხედავად იმისა, რომ გამოკვეთილი ფავორიტი იყო, მარცხი განიცადა. ამასთან, მთელი მე-2 ტაიმის განმავლობაში რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა. პლუს, სამტრედია, ფაქტობრივად, უმწვრთნელოდ იყო, რადგან გუნდი გია ცეცაძემ დატოვა და მის ნაცვლად იმერლები მოედანზე ლერი მიგინეიშვილმა გაიყვანა, რომელსაც სამტრედიელთა სამწვრთნელო შტაბში უმუშავია.

შეხვედრამ ბათუმელთა უპირატესობით ჩაიარა და 45-ე წუთზე სამტრედიელთა მდგომარეობა დამძიმდა – გიორგი ახალაძემ 2 ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

ზღვისპირელებს ანგარიშის გახსნის ყველაზე რეალური შესაძლებლობა 58-ე წუთზე მიეცა, როცა საჯარიმოში გიორგი ფანცულაია წააქციეს და პენალტი დაინიშნა. ბურთთან დაზარალებული მივიდა, მაგრამ ვერ გაიტანა. ქურდაძემ ზედიზედ მე-2 მატჩში მოიგერია პენალტი.

ბოლო წუთზე კი, სამტრედიამ გამარჯვების გოლი გაიტანა: ბათუმელთა დაცვის ხაზი ჩავარდა, რის შედეგადაც ავთო ენდელაძემ ანატოლი მესიაჩენკო მოძებნა საჯარიმოში. მან თავის მხრივ გიული მანჯგალაძეს აუარა გვერდი და ზუსტად დარტყმა მოახერხა.

ბათუმელებმა ძალიან მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს და საჩემპიონო ბრძოლაში ინტრიგა დატოვეს.

**საბურთალო-დინამო (თბ) 0:1**

**0:1 ქავთარაძე (30)**



**საბურთალო:** გოშაძე, მალი, შ.ნონიკაშვილი, ი.ტაბატაძე (ლაცაბიძე 72), ძებნიაური, გულიაშვილი (შულაია 62), კაკუბავა, ლ.ნონიკაშვილი (მამაგეიშვილი 72), ცნობილაძე (ჩაჩუა 8), კოხრეიძე (მანდრიჩენკო 72), გოჩოლეიშვილი

**დინამო:** პრიეტო, ბენიო, პაპავა, კალანდაძე, მექვაბიშვილი, ხარაბაძე, სპორქსლედე, რადინი (მოისწრაფიშვილი 46), ოსეი (კუცია 86), ქავთარაძე (მორჩილაძე 90), მარუშიჩი

დინამომ ისარგებლა ბათუმელთა წაფორხილებით და მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო, რითიც ლიდერთან სხვაობა შეამცირა და ბრძოლაში დარჩა.

დინამოელებმა მომგებიანი გოლი ნახევარი საათის თავზე გაიტანეს: ნოდარ ქავთარაძე ზორან მარუშიჩის პასის შემდეგ მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში შეიჭრა და პირდაპირ კარში დაარტყა, მეკარემ უკუაგდო ბურთი, თუმცა იმავე ქავთარაძემ მახვილი კუთხიდან დამატებაზეც გაისროლა და გოლიც გაიტანა.

**დილა-სამგურალი 2:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 კამარა (62), 2:0 ბიძინაშვილი (89)**

უგოლოდ დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ დილამ მაინც მოიგო. გორელთა შორის გამოსარჩევია უსმანე კამარა, რომელმაც ჯერ ანგარიში გახსნა, ხოლო მატჩის დასასრულს მისი პასით შეცვლაზე შესულმა ბიძინაშვილმა გაიტანა და გორულმა გუნდმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა.

**შუქურა-ლოკომოტივი 0:1**

**ფოთი. ფაზისი**

**0:1 უბილავა (35)**

საინტერესო მატჩი გამოდგა ფოთში, სადაც შუქურა ლოკომოტივს დაუხვდა. ორივე გუნდს ქულები სხვადასხვა მიზნებისთვის სჭირდებათ და ურთიერთშეხვედრაში „რკინიგზელებმა" იხეირეს.

მატჩის ერთად ერთი გოლი მცველმა და გუნდის კაპიტანმა დავით უბილავამ გაიტანა.

**თელავი-ტორპედო 1:3**

**თელავი. კავკასიონი არენა**

**0:1, 0:2 ახვლედიანი (1, 11), 1:2 ჩუკვუკა (27), 1:3 რეკიში (44)**

მნიშვნელოვანი 3 ქულა აიღო ქუთაისის ტორპედომ. არადა, თელაველები გამარჯვების შემთხვევაში, ფაქტობრივად, გადაწყვეტდნენ უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხს. თუმცა, ამის საშუალება იმერლებმა არ მისცეს.

ტორპედომ უსწრაფესი გოლი გაიტანა – მე-16 წამზე ანგარიში თორნიკე ახვლედიანმა გახსნა. მანვე 10 წუთში რიონისპირელები სოლიდურად დააწინაურა. მართალია, რაფაელ ჩუკვურამ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ დმიტრი რეკიშმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**საკუთნიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 31 | 18 | 10 | 3 | 62-25 | 64 |
| 2.დინამო (თბ) | 31 | 18 | 6 | 7 | 50-25 | 60 |
| 3.დილა | 31 | 15 | 8 | 8 | 41-30 | 53 |
| 4.საბურთალო | 31 | 13 | 11 | 7 | 44-32 | 50 |
| 5.ლოკომოტივი | 31 | 14 | 5 | 12 | 50-53 | 47 |
| 6.სამგურალი | 31 | 8 | 12 | 11 | 31-38 | 36 |
| 7.თელავი | 31 | 9 | 8 | 14 | 28-44 | 35 |
| 8.ტორპედო | 31 | 6 | 12 | 13 | 28-38 | 30 |
| 9.შუქურა | 31 | 5 | 11 | 15 | 26-42 | 26 |
| 10.სამტრედია | 31 | 5 | 5 | 21 | 28-61 | 20 |

## შედეგები

### 24 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრენტფორდი-ლესტერი ............... 1:2
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი ................. 1:0
მანჩესტერი-ლივერპული ............. 0:5

**საკუთნიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 9 | 7 | 1 | 1 | 23-3 | 22 |
| 2.ლივერპული | 9 | 6 | 3 | 0 | 27-6 | 21 |
| 3.სიტი | 9 | 6 | 2 | 1 | 20-4 | 20 |
| 4.ვესტ ჰემი | 9 | 5 | 2 | 2 | 16-10 | 17 |
| 5.ბრაიტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 9-9 | 15 |
| 6.ტოტენჰემი | 9 | 5 | 0 | 4 | 9-13 | 15 |
| 7.მანჩესტერი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-15 | 14 |
| 8.ევერტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 9.ლესტერი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-15 | 14 |
| 10.არსენალი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-13 | 14 |
| 11.ვულვზი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 13 |
| 12.ბრენტფორდი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-9 | 12 |
| 13.ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 13-15 | 10 |
| 14.უოტფორდი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-17 | 10 |
| 15.კრ.პალასი | 9 | 1 | 6 | 2 | 11-14 | 9 |
| 16.საუთჰემპტონი | 9 | 1 | 5 | 3 | 8-12 | 8 |
| 17.ლიდსი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-16 | 7 |
| 18.ბარნლი | 9 | 0 | 4 | 5 | 7-15 | 4 |
| 19.ნიუკასლი | 9 | 0 | 4 | 5 | 11-20 | 4 |
| 20.ნორვიჩი | 9 | 0 | 2 | 7 | 2-23 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-შეფილდი ........................ 2:3
ნოტინგემი-ფულემი ....................... 0:4

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ლევერკუზენი .................. 2:2
შტუტგარტი-უნიონი ...................... 1:1
ბოხუმი-აინტრახტი ....................... 2:0

**საკუთნიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 33-8 | 22 |
| 2.დორტმუნდი | 9 | 7 | 0 | 2 | 25-15 | 21 |
| 3.ფრაიბურგი | 9 | 5 | 4 | 0 | 14-6 | 19 |
| 4.ლევერკუზენი | 9 | 5 | 2 | 2 | 23-14 | 17 |
| 5.უნიონი | 9 | 4 | 4 | 1 | 13-10 | 16 |
| 6.ლაიფციგი | 9 | 4 | 2 | 3 | 20-9 | 14 |
| 7.მაინცი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 13 |
| 8.კიოლნი | 9 | 3 | 4 | 2 | 15-16 | 13 |
| 9.ვოლფსბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-12 | 13 |
| 10.ჰერტა | 9 | 4 | 0 | 5 | 11-21 | 12 |
| 11.ჰაიდენჰაიმი | 9 | 3 | 2 | 4 | 17-15 | 11 |
| 12.გლადბახი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-12 | 11 |
| 13.შტუტგარტი | 9 | 2 | 4 | 3 | 14-15 | 10 |
| 14.ბოხუმი | 9 | 3 | 1 | 5 | 7-16 | 10 |
| 15.აინტრახტი | 9 | 1 | 5 | 3 | 9-14 | 8 |
| 16.აუგსბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-18 | 6 |
| 17.არმინია | 9 | 0 | 5 | 4 | 5-14 | 5 |
| 18.ფიურტი | 9 | 0 | 1 | 8 | 6-24 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-ვერდერი ................. 2:2
ზ.პაული-ჰანზა .............................. 4:0
რეგენსბურგი-ჰანოვერი ............... 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-ლევანტე ......................... 5:3
ბარსელონა-რეალი ....................... 1:2
ბეტისი-რაიო ................................. 3:2
ატლეტიკო-სოსიედადი ................ 2:2

**საკუთნიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 10 | 6 | 3 | 1 | 14-9 | 21 |
| 2.რეალი | 9 | 6 | 2 | 1 | 24-11 | 20 |
| 3.სევილია | 9 | 6 | 2 | 1 | 16-6 | 20 |
| 4.ატლეტიკო | 9 | 5 | 3 | 1 | 13-8 | 18 |
| 5.ბეტისი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-11 | 18 |
| 6.ოსასუნა | 10 | 5 | 3 | 2 | 14-13 | 18 |
| 7.რაიო | 10 | 5 | 1 | 4 | 17-12 | 16 |
| 8.ბილბაო | 9 | 4 | 4 | 1 | 9-5 | 16 |
| 9.ბარსელონა | 9 | 4 | 3 | 1 | 15-10 | 15 |
| 10.ვალენსია | 10 | 3 | 4 | 3 | 15-13 | 13 |
| 11.ესპანიოლი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 |
| 12.მალიორკა | 10 | 3 | 3 | 4 | 9-15 | 12 |
| 13.ვილიარეალი | 9 | 2 | 5 | 2 | 10-7 | 11 |
| 14.ელჩე | 10 | 2 | 4 | 4 | 8-12 | 10 |
| 15.სელტა | 9 | 2 | 1 | 6 | 7-12 | 7 |
| 16.გრანადა | 9 | 1 | 4 | 4 | 7-13 | 7 |
| 17.კადისი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-15 | 7 |
| 18.ალავესი | 9 | 2 | 0 | 7 | 4-13 | 6 |
| 19.ლევანტე | 10 | 0 | 5 | 5 | 9-18 | 5 |
| 20.ხეტაფე | 9 | 0 | 2 | 7 | 3-13 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ამორებიეტა-სოსიედადი ბ ........... 1:2
მირანდესი-ალმერია ...................... 1:4
ბურგოსი-უესკა ............................. 3:1
პონფერადინა-ოვიედო ................. 1:2
ლას პალმასი-ალკორკონი ............ 3:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-უდინეზე ....................... 1:1
ვერონა-ლაციო .............................. 4:1
ფიორენტინა-კალიარი ................. 3:0
რომა-ნაპოლი ................................ 0:0
ინტერი-იუვენტუსი ....................... 1:1

**საკუთნიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 9 | 8 | 1 | 0 | 19-3 | 25 |
| 2.მილანი | 9 | 8 | 1 | 0 | 22-9 | 25 |
| 3.ინტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 24-12 | 18 |
| 4.რომა | 9 | 5 | 1 | 3 | 16-9 | 16 |
| 5.ატალანტა | 9 | 4 | 3 | 2 | 15-11 | 15 |
| 7.იუვენტუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-11 | 15 |
| 9.ფიორენტინა | 9 | 5 | 0 | 4 | 13-12 | 15 |
| 6.ლაციო | 9 | 4 | 2 | 3 | 19-17 | 14 |
| 8.ემპოლი | 9 | 4 | 0 | 5 | 14-18 | 12 |
| 10.ბოლონია | 9 | 3 | 3 | 3 | 15-19 | 12 |
| 11.ვერონა | 9 | 3 | 2 | 4 | 21-18 | 11 |
| 12.ტორინო | 9 | 3 | 2 | 4 | 12-10 | 11 |
| 13.სასუოლო | 9 | 3 | 2 | 4 | 12-12 | 11 |
| 14.უდინეზე | 9 | 2 | 4 | 3 | 11-13 | 10 |
| 15.სამპდორია | 9 | 2 | 3 | 4 | 13-17 | 9 |
| 16.ვენეცია | 9 | 2 | 2 | 5 | 7-15 | 8 |
| 17.სპეცია | 9 | 2 | 1 | 6 | 11-22 | 7 |
| 18.ჯენოა | 9 | 1 | 3 | 5 | 14-21 | 6 |
| 19.კალიარი | 9 | 1 | 3 | 5 | 11-20 | 6 |
| 20.სალერნიტანა | 9 | 1 | 1 | 7 | 8-21 | 4 |

**იტალია. სერია ბ**

პიზა-პორდენონე ........................... 1:1
რეჯინა-პარმა ............................... 2:1
სპალი-კომო .................................. 1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ნიცა-ლიონი .................................. 3:2
ლანსი-მეცი ................................... 4:1
ლორიანი-ბორდო .......................... 1:1
რეიმსი-ტრუა ................................ 1:2
რენი-სტრასბური .......................... 1:0
მონაკო-მონპელი .......................... 3:1
მარსელი-პსჟ ................................. 0:0

**საკუთნიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 9 | 1 | 1 | 24-10 | 28 |
| 2.ნიცა | 11 | 9 | 2 | 2 | 23-9 | 22 |
| 3.ლანსი | 14 | 6 | 3 | 2 | 20-12 | 21 |
| 4.მარსელი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-11 | 18 |
| 5.რენი | 11 | 5 | 3 | 3 | 16-9 | 18 |
| 6.ანჟე | 11 | 4 | 5 | 2 | 17-13 | 17 |
| 7.ნანტი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-12 | 17 |
| 8.მონაკო | 11 | 5 | 2 | 4 | 17-14 | 17 |
| 9.ლიონი | 11 | 4 | 4 | 3 | 18-16 | 16 |
| 10.ლილი | 11 | 4 | 3 | 4 | 14-16 | 15 |
| 11.ლორიანი | 11 | 3 | 6 | 2 | 12-14 | 15 |
| 12.სტრასბური | 11 | 4 | 2 | 5 | 18-16 | 14 |
| 13.მონპელიე | 11 | 3 | 4 | 4 | 18-19 | 13 |
| 14.კლერმონი | 11 | 3 | 4 | 4 | 14-22 | 13 |
| 15.ტრუა | 11 | 3 | 3 | 5 | 11-15 | 12 |
| 16.რეიმსი | 11 | 2 | 5 | 4 | 12-14 | 11 |
| 17.ბორდო | 11 | 1 | 6 | 4 | 13-22 | 9 |
| 18.ბრესტი | 11 | 0 | 6 | 5 | 12-20 | 6 |
| 19.მეცი | 11 | 1 | 3 | 7 | 12-26 | 6 |
| 20.სტ.ეტიენი | 11 | 0 | 5 | 6 | 11-25 | 5 |

**ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი**

ტვენტე-ნაიმეგენი ......................... 1:2
ვიტესი-იგლზი ............................... 1:2
კამბური-ფეიენოორდი .................. 2:3
აიაქსი-პსვ .................................... 5:0
გრონინგენი-ალკმაარი .................. 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-აროუკა ........................... 0:0
ვიზელა-ბენფიკა ............................ 0:1
პორტიმონენშე-ეშტორილი .......... 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-რუბინი ................................... 1:1
ახმატი-ურალი ............................... 1:0
ზენიტი-სპარტაკი .......................... 7:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-ბრიუგე ...................... 1:1
ანდერლეხტი-ბეერსხოტი ............. 4:2
გენკი-გენტი .................................. 0:3
ლეუვენი-სტ.ტრუიდენი ................ 4:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-ალტახი .......................... 0:1
ჰარტბერგი-რაპიდი ...................... 1:1
ზალცბურგი-შტურმი ..................... 4:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-რეინჯერსი ................... 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაგუმრუქი-ჰატაი ....................... 1:1
ანთალია-ბაშაქშეჰირი .................. 1:2
სივასი-ადანა ................................. 1:1
ფენერბახჩე-ალანია ...................... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-პანეთოლიკოსი ................... 5:1
ვოლოსი-აეკი ................................. 1:3
ოფი-ლამია ..................................... 0:0
ოლიმპიაკოსი-პაოკი ...................... 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-სტ.გალენი ..................... 2:0
ბაზელი-ლუგანო ............................ 2:0
სერვეტი-სიონი .............................. 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-იაბლონეცი ...................... 5:0
ჰრადეც კრალოვე-ტეპლიცე ........ 3:0
ჩესკე-სლავია ................................ 2:2
სპარტა-ბოლესლავი ....................... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-კრაკოვია ..................... 1:1
ვარტა-სტალი ................................ 0:0
პიასტი-ლეგია ................................ 4:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

დებრეცენი-პუშ.აკადემია ............. 0:3
ჰონვედი-მეზოკოვეშდი ................. 2:3
ფერენცვაროში-მტკ ....................... 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

რუხი-მინაი .................................... 2:2
დინამო-დნიპრო ............................ 2:0
ზორია-კოლოსი .............................. 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-კოპენჰაგენი ............... 2:1
სილკებორგი-ოდენსე .................... 1:1
რანდერსი-ორხუსი ........................ 1:0
მიდტიულანდი-სონდერიისკე ....... 3:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

მიალბი-გიოტებორგი .................... 1:3
ჰამარბი-ესთერსტუნდი ................. 4:3
ეკფსბორგი-სირიუსი ..................... 3:0
აიკი-ნორჩიოპინგი ........................ 1:0
ვარბერგი-მიალბი .......................... 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-ჰაუგესუნდი ............... 2:1
კრისტიანსუნდი-სარპსბორგი ...... 1:3
რუსენბორგი-სანდერფიორდი ..... 4:1
სტრომგოსეტი-ბოდო გლიმტი ..... 1:1
ტრომსო-მიონდალენი ................... 1:0
ოდ გრელანდი-ბრანი ..................... 3:3

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. როკ-ჯგუფ „ქუინის" ლიდერი; 2. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 3. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 4. ტრაგედია „ჰამლეტის" პერსონაჟი; 5. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი; 10. ამერიკული ჯიპი; 11. იაპონელი კინორეჟისორი; 12. უმცროსი მეთაური გემზე, კაპიტნის თანაშემწე; 13. თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; 16. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. ბულგარეთის პირველი მეფე; 21. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 23. საკვები პროდუქტების შესაფუთად გამოყენებული ფერადი ლითონის თხელი ფურცლები.

**თარაზულად:** 6. ბოკაჩოს რომანი; 7. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 8. წავისებრთა ოჯახი, ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 9. შეძენილი ჭკუასუსტობა; 14. მიწის სათხრელი მანქანა; 15. მშვიდობის მოყვარე, ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 18. მამათა მონასტერი; 20. მოხალისეთა ჯარი; 22. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 24. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 25. სპილენძის შემცველი მწვანე ხასხასა მინერალი; 26. ალექსანდრე ყაზბეგის რომანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ელია; 2. ინა; 3. გერიატრია; 4. დონგი; 5. ჟინვალი; 8. ნიკე; 9. ვაგნერი; 10. შორაპანი; 12. ბასტრი; 13. გროტი; 15. ქაცვი.

**თარაზულად:** 1. ერუდიტი; 6. ფელეტონი; 7. ხუნტა; 10. შტილი; 11. აკაბა; 13. გინზა; 14. იფქლი; 16. ტახო; 17. აერაცია; 18. ტალინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ურუშაძე; 2. ბრიუსელი; 3. ოტომანები; 4. ლიოტარი; 5. კომპონენტი; 10. მაკეტი; 11. მუშტაიდი; 12. კონსული; 13. ბეთანია; 16. ყანდარელი; 17. ჟანდარმი; 19. ასფიქსია; 21. სევრი; 23. თერგი.

**თარაზულად:** 6. პრიორიტეტი; 7. ჯილღაო; 8. ბახუსი; 9. ნადირაძე; 14. ბელკანტო; 15. კანდელაკი; 18. მედეა; 20. ფაეტონი; 22. კათედრა; 24. ჰენესი; 25. ფედერერი; 26. ლაგამი.

## სამგლოვიარო განცხადებები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის თანამშრომლები გურამ კვიკვინია, რეზო ხაინდრავა, ენვერ არველაძე და გელა ჩილაჩავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრისა და კოლეგის

**ბექან აკობიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1401

ევრო — 3.6497

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3220

100 რუსული რუბლი — 4.4921

## ამინდის პროგნოზი 26 ოქტომბრისათვის




## სოლსკიაერი შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედიდან გაუშვან



მანჩესტერ იუნაიტედი საკუთარ მოედანზე ლივერპულთან განადგურდა ანგარიშით 0:5 და ასეთი მარცხის შემდეგ, ბუნებრივია, მიდის საუბრები სოლსკიაერის გუნდიდან წასვლის შესახებ.

იუნაიტედის ხელმძღვანელობა სოლსკიაერის შემცვლელს აქტიურად ეძებს და მისი გუნდიდან წასვლა მხოლოდ დროის ამბავია. თვითონ ნორვეგიელ სპეციალისტს ამ თემასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ფრენკი დე იონგი 2 კვირას გამოტოვებს



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა რეალთან მატჩის დროს ტრავმა მიიღო და ის დაახლოებით 2 კვირას გამოტოვებს. დე იონგი მოედანს ნოემბრის შუა რიცხვებში დაუბრუნდება და მანამდე რონალდ კუმანს მისი შემცვლელის პოვნა მოუწევს, რადგან ფრენკი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

## მოდრიჩმა რეალში მე-400 შეხვედრა ჩაატარა



მადრიდის რეალის ხორვატმა ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა რეალის მაისურით მე-400 შეხვედრა ჩაატარა და ეს მატჩი ბარსელონასთან მოგებული კლასიკო აღმოჩნდა. მოდრიჩმა კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ვერ წარმოიდგენდა, თუ რეალში ამდენ შეხვედრას ჩაატარებდა:

— როდესაც რეალში პირველად მივედი, ნამდვილად რთული წარმოსადგენი იყო, რომ გუნდში ამდენ დროს გავატარებდი. ბარსელონასთან გამარჯვება ყოველთვის განსაკუთრებულია და ჩვენ ბედნიერები ვართ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბრიტანეთის დედოფალმა „წლის მოხუცი ქალის“ პრემიაზე უარი თქვა



დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ უარი განაცხადა „წლის მოხუცი ქალის“ პრემიის მიღებაზე, ვინაიდან თვლის, რომ ასაკობრივ კატეგორიას არ შეესაბამება.

95 წლის დედოფალმა განმარტა, რომ ურჩევნია თავად განსაზღვროს ასაკის და ახალგაზრდობის კატეგორიები.

— მისი უდიდებულესობა დარწმუნებულია იმაში, რომ კაცობრიობა იმდენადაა დაბერებული, რამდენადაც ამას თავად გრძნობს და ამიტომ ის მიიჩნევს, რომ თავად არ შეესატყვისება საჭირო კრიტერიუმებს პრემიის მისაღებად, და იმედი აქვს, რომ პრიზის უფრო ღირსეული მიმღები მოიძებნება, — განმარტა დედოფალ ელისაბედ II-ის გადაწყვეტილება მისმა თანაშემწემ ედვარდ იანგმა.

გასულ წელს ჯილდო „წლის მოხუცი ქალი“ გადაეცა 88 წლის მომღერალ პეტულე კლარკს, რომელიც რვა ათწლეულის განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდა შოუ-ბიზნესში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ორი მათემატიკოსი ხვდება ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— კოლეგა, ისევ გამქურდეს.

— კოლეგა, წარმოიდგინე და ეგ საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოვაგვარე!

— საინტერესოა... და როგორ?

— ალბათობის თეორია გამოვიყენე და კარზე ექვსი ყველაზე იაფფასიანი ჩინური საკეტი დავაყენე.

— და რაში მდგომარეობს აქ ალბათობის თეორია, თუ ყველა მათგანის ერთი გასაღებით გაღებაა შესაძლებელი?

— ნუ იტყვით, კოლეგა, როდესაც სახლიდან გამოვდივარ, სამ საკეტს ვკეტავ, სამს კი — არა!

●●●

ნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი, ხელქვეითებს ანეკდოტებს უყვება. ყველა იცინის, ერთი უფროსი ლეიტენანტის გარდა. ბოლოს პოლკოვნიკმა ველარ მოითმინა და ეკითხება:

— თქვენ რატომ არ გეცინებათ, უფროსო ლეიტენანტო?

— მე თქვენი ნაწილიდან არ ვარ, ბატონო პოლკოვნიკო.

●●●

მამაკაცი ავადმყოფი ნათესავის მოსანახულებლად მივიდა. სანამ მასთან შევიდოდა ოთახში, ავადმყოფის ცოლი ეუბნება, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო რომ არ დამძიმდეს, მხიარული სახით მოიკითხოს.

მამაკაცი შედის ავადმყოფის ოთხში და მხიარული სახით ეკითხება:

— აბა, როგორაა საქმე, ვკვდებით?

●●●

ქმარი ცოლთან ერთად აბანოში წავიდა. მოლარე ეუბნება:

— ერთ ნომერში ვერ შეგიშვებთ.

— რატომ? ჩვენ ხომ ცოლ-ქმარი ვართ.

— ეგ ქალი დღეს უკვე სამჯერ იყო შემოსული და შენ მისი მეოთხე ქმარი გამოდიხარ...

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რა შეწუხებული სახე გაქვს, რა მოხდა?

— 100 ლარი მომპარეს.

— მერე, პოლიციაში არ იყავი?

— ვიყავი, მაგრამ იქ მითხრეს, ჩვენ არ მოგვიპარავსო.

●●●

ჟურნალისტი რაიონის ცენტრში მამაკაცს აჩერებს და ეკითხება:

— შემოსავალი რა გაქვთ ოჯახში?

— ჭიშკარი...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სელენა გომესი დემნა გვასალიას კაბით გამოჩნდა



მსოფლიოში ცნობილი მომღერალი სელენა გომესი ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას ულამაზესი ყვავილებიანი კაბით გამოჩნდა.

მომღერალმა სპეციალურ ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა და დემნას მიერ შექმნილი სამოსით ფოტოხელოვანების წინაშე იპოზიორა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსოფლიო ვარსკვლავები დემნა გვასალიას სამოსით იწონებენ თავს. ქართველი დიზაინერის კოლექციები უკვე დიდი ხანია მომღერლების, მსახიობების, დიზაინერების, სპორტსმენებისა თუ წამყვანების გარდერობებში იყრიან თავს.

## ფრიდონ სულაბერიძე 80 წლის გახდა



ანსამბლ „სუხიშვილების“ ოქროს თაობის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი ფრიდონ სულაბერიძე 80 წლის გახდა. პანდემიის გამო, ხელოვანის იუბილე მასშტაბურად არ აღინიშნება.

უკვე წლებია, ფრიდონ სულაბერიძე ანსამბლ „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფია. საკუთარ გამოცდილებას იგი მომავალ თაობებს გადასცემს და ქართული ცეკვის საიდუმლოს აზიარებს.

ნოემბერში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფრიდონ სულაბერიძის საიუბილეო საღამო გაიმართება.

## თაკო რობაქიძემ სტენლი გრინის მემკვიდრეობის პრიზი მოიპოვა



ქართველმა ფოტოგრაფმა თაკო რობაქიძემ სტენლი გრინის მემკვიდრეობის პრიზი და სტიპენდია მოიპოვა. ამ პრესტიჟული ჯილდოს ფლობა ნებისმიერი ფოტოხელოვანისთვის უდიდესი წარმატებაა.

თაკოს წარმატება მისმა პანკისის ხეობის მცხოვრებლებზე და მცოცავი ოკუპაციის შესახებ მომზადებულმა ფოტოებმა გამოიწვია. ქართველი ხელოვანის ნამუშევრებმა ფოტოგრაფთა ფართო წრეებშიც უდიდესი ინტერესი დაიმსახურა.

## კოტე ყიფიანმა მონსერატ კაბალიეს კონკურსზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა



გადაცემა „მელორამას“ წამყვანმა, ქართველმა მომღერალმა კოტე ყიფიანმა მონსერატ კაბალიეს სახელობის მე-16 საერთაშორისო კონკურსზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

უნიჭიერესი მომღერალი სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტებს შორის რჩეული აღმოჩნდა. ის ფინალისტებს შორის მოხვდა და კონკურსის ლაურეატი და მესამე პრემიის მფლობელი გახდა.

## სიღნაღში ბიძინა კვერნაძის სახელობის ფესტივალი დაარსდა



კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში მისივე სახელობის ფესტივალი-კონკურსი დაარსდა. იდეის ავტორი და ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი კომპოზიტორის მოწაფე ნიკა ნიკვაშვილია:

— კონკურსი მიმდინარეობს ორ ტურად. პირველი ტური მოიცავს კონკურსანტების მიერ გადმოგზავნილი მასალის განხილვასა და შერჩევას. კონკურსანტები, რომლებიც გაივლიან პირველ შესარჩევ ეტაპს, მეორე ტურში წარდგებიან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კამერულ დარბაზში, სადაც ჟიურის წინაშე წარმოადგენენ საკუთარ ნაწარმოებს ცოცხალი შესრულებით ან აუდიოვერსიის სახით.

კონკურსის მონაწილეები იყოფიან ორ ასაკობრივ კატეგორიად: 12-დან 17 წლამდე და 18-დან 35 წლამდე. თითოეულ კატეგორიაში ჟიურის მიერ გამოვლინდება ერთი გამარჯვებული. საპრიზო ფონდი გამარჯვებულთათვის, შესაბამისად არის 2.000 და 3.000 ლარი.

გარდა ფულადი პრემიისა, ფესტივალი უზრუნველყოფს გამარჯვებული კომპოზიტორის შემოქმედებითი საღამოს ორგანიზებას მომდევნო წლის ფესტივალის ფარგლებში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 26 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** — ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** — ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** — დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** — იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** — გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** — არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** — რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** — ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** — ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** — სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** — სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. რაიმე მოვლენის ცალკეული სტადია, მომენტი; 2. მდინარე ციმბირში; 3. იტალიური საკონდიტრო; 4. სისხლისა და ლიმფისგან დამზადებული ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 8. თავადის ტიტული ინდოეთში; 9. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 10. გუნდური შეჯიბრებია ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. ქვეყნისთვის სასიკეთო საქმისთვის გაწეული შრომა; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 15. სამხრეთ კორეის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. ბეთჰოვენის ოპერა; 6. პოლიციელი საფრანგეთში; 7. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 11. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 16. რბილი ტყავისგან დამზადებული დაბალყელიანი ფეხსაცმელი ძველად საქართველოში; 17. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 18. ერთ-ერთი კონტინენტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

